



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ

(საჩივარი N 15256/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2016 წლის 21 ივნისი

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვედგაროს სარედაქციო ხასიათის ცვლილებებს.

საქმეზე ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ანდრას შაიო - თავმჯდომარე,

ვინსენტ ა. დე გაეტანო,

ბოსტიან მ. ზუპანჩიჩი,

ნონა წოწორია,

პაულო პინტო დე ალბუქურქე,

ეგიდიუს კურისი,

გაბრიელე კუცსკო - მოსამართლეები,

და მარიალენა ცირლი - სექციის განმწესრიგებელი,

2016 წლის 17 მაისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმის წარმოება დაიწყო საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი ზურაბ ჭანკოტაძის („მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ 2005 წლის 12 მარტს სასამართლოში შეტანილი (N 15256/05) საჩივრის საფუძველზე.

2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ ბ-ნი გ. სვანიძე („პირველი წარმომადგენელი“) და ბ-ნი ა. ბარამიძე („მეორე წარმომადგენელი“), რომლებიც საადვოკატო საქმიანობას თბილისში ახორციელებენ. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი ლ. მესხორაძე, სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან.

3. მომჩივანი დავობდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა უკანონო იყო, ასევე არასამართლიანი იყო მის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევით.. იგი ასევე დავობდა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და მის წინასწარ პატიმრობას, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევით, საფუძვლად ედო არასათანადო ფარული მოტივები.

4. 2008 წლის 16 სექტემბერს საჩივარი მთავრობას გადაეგზავნა.

5. აპლიკანტმა და მთავრობამ წარადგინეს წერილობითი მოსაზრებები საჩივრის დასაშვებობის და არსებითი მხარის შესახებ.

6. 2012 წლის 1-ელ ნოემბერს, მას შემდეგ რაც მხარეებმა სასამართლოს წარუდგინეს მოსაზრებები დასაშვებობის და საქმის არსებითი მხარის და კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების შესახებ, მომჩივნის მეორე წარმომადგენელმა, ბ-ნმა ა. ბარამიძემ, სასამართლოს აცნობა, რომ იგი ვეღარ შეძლებდა კლიენტის წარმომადგენლობას იმ საფუძვლით, რომ დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მინისტრის მოადგილედ.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

7. მომჩივანი 1952 წელს დაიბადა და ამჟამად თბილისში ცხოვრობს.

8. მომჩივანი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (“CAA”) თავმჯდომარე იყო 2002 წლის 12 მარტისა და 2004 წლის 13 მარტის პერიოდში, მის გადადგომამდე. სამოქალაქო ავიაციის სააგენტო წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

A. საქმესთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია - 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

9. 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულ იქნა საქმეზე - შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ არაკონსტიტუციური იყო სამართლებრივი ტერმინის - „რეგულირების საფასურის” გამოყენება. აღნიშნული ტერმინი სხვადასხვა შესაბამის სამართლებრივ აქტშია მოცემული, კერძოდ, 2001 წლის 20 ივლისის აქტში: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ („რეგულირების აქტი”) და 2001 წლის 28 დეკემბერს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მიერ მიღებულ, N109 და N110 ბრძანებებში (ქვემოთ, იხ. 59-80 პარაგრაფები).

10. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ ხსენებული „რეგულირების საფასური”, რომელიც რეგულირების აქტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი სავალდებულო გადასახადი იყო, არ წარმოადგენდა არც გადასახადს და არც

მოსაკრებელს. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლი სახელმწიფოსთვის სავალდებულო გადასახადად მხოლოდ ამ ორ უკანასკნელს აღიარებდა. უფრო მეტიც, განსხვავებით გადასახადებისა და მოსაკრებლებისა, რეგულირების საფასურის გადახდა ხდებოდა არა სახელმწიფო ხაზინაში ან ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, არამედ პირდაპირ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებებში საფასური წარმოადგენდა გადასახადის სპეციალურ ფორმას, რომელიც სავალდებულო გადასახადი იყო და რომელსაც ჰქონდა როგორც ტრადიციული მოსაკრებლის (რომელიც გადასახდელია მომსახურების გაწევის ან უფლების მინიჭების სანაცვლოდ), ასევე გადასახადის (რომელიც გადასახდელია ყოველწლიური შემოსავლისთვის) მახასიათებლები.

11. მოპასუხე სახელისუფლებო ორგანოები - პარლამენტი და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ სატრანსპორტო საქმიანობისთვის საჭირო იყო გარკვეული სავალდებულო რეგულირების საფასურის არსებობა, ვინაიდან სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს არ შეეძლო ხელშეკრულების გაფორმება სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტი და განაცხადა, რომ სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირება გულისხმობდა საჯარო ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ მომსახურებას სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ. ასეთი ურთიერთობები შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ, მხარეების მიერ გამოვლენილი თავისუფალი ნების საფუძველზე შედგენილი, ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში. ამრიგად, საჯარო ხელისუფლების მიერ მომსახურებისთვის მიღებულ საფასურს უნდა მიეღო შემოსავლის ფორმა, რომელიც გამომუშავებული იყო ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოსთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

12. საკონსტიტუციო სასამართლომ შემდგომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე, კერძო ავიაკომპანია, ვერასდროს შეძლებდა საქმიანობის განხორციელებას სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი სატრანსპორტო მომსახურების გარეშე. თუმცა, მომსახურების არჩევის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით, უდავოდ საჭირო მომსახურებაც კი უნდა იყოს მხარეებს შორის თავისუფალი შეთანხმების საგანი. საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტის შემთხვევაში, თავიდან იქნებოდა აცილებული სამომავლო შემთხვევები, სადაც დიდი რაოდენობით გადასახადი დაკისრებული იქნებოდა

ცალმხრივად საჯარო ხელისუფლების მიერ, კომპანიების მოსაზრებების სრული უგულვებლყოფით. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუციური დებულებებიც კი ვერ აუკრძალავდა სამოქალაქო ავიაციის რეგულირებაზე პასუხისმგებელ საჯარო ხელისუფლებას კერძო დაწესებულებასთან გაეფორმებინა ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების წესებსა და პირობებს.

13. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2003 წლის 10 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა 2003 წლის 1-ელ აპრილს.

B. სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება აპლიკანტის წინააღმდეგ

14. 2004 წლის 13 თებერვალს, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფუძველზე, დაიწყო სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ორი სამოქალაქო ავიაციის კომპანიების თანამშრომლების მიმართ. ეს გადაწყვეტილება დაეფუძნა „ჟურნალისტთა ანტიკორუფციული საგამომიებო ორგანიზაციის“ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

15. 2004 წლის 16 მარტს, მთავარმა პროკურატურამ მომჩივანს, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენების ბრალდება წაუყენა. მას ბრალი ედებოდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელებისას, 2003 წლის 28 მარტსა და 18 აგვისტოს სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმებაში სამ სამოქალაქო საავიაციო კომპანიასთან, კერძოდ, საქაერონავიგაციას, თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და „Air-GP-Georgia“-სთან. აღნიშნულმა კომპანიებმა, ხელშეკრულების მიხედვით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის ყოველთვიურად მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება აიღეს. შესაბამისად, 2003 წლის აპრილისა და სექტემბრის პერიოდში სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ 600,000 ლარი (GEL) (დაახლოებით 289,000 ევრო (EUR) მიიღო. გამომძიებლის განცხადების თანახმად, მომჩივნის მოქმედება, როდესაც მან გამოიყენა სიტყვები „მომსახურების საფასური“, მიზნად ისახავდა საფასურის ფაქტობრივი მნიშვნელობის დაფარვას, რაც გახლდათ ძველი „რეგულირების საფასური“ - იურიდიული ტერმინი და ვალდებულება, რომელიც 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა (ზემოთ, იხ. მე-13 პარაგრაფი).

16. აპლიკანტს შემდგომში ბრალი დაედო 2003 წლის 25 ნოემბერს N1 ბრძანების გამოცემასა და მის რეტროაქტიულად გამოყენებაში, კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ (ქვემოთ, იხ. 81-ე პარაგრაფი). აღნიშნულმა ბრძანებამ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ნება დართო საქაერონავიგაციისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის 2003 წელს 1-5 დეკემბრის პერიოდში, რეგულირების ფასთან დაკავშირებით, 134, 609 ლარი (დაახლოებით 64,000 ევრო (EUR)) დაეკისრებინა.

17. ამრიგად, 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის თვითნებურად გვერდის ავლით, აპლიკანტი „უკანონოდ მოიქცა და, შესაბამისად, მან ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება“.

18. აპლიკანტი 2004 წლის 16 მარტს დააკავეს. მას ბრალი დაედო 2004 წლის 17 მარტს, თუმცა თავს დამნაშავედ არ ცნობდა.

1. წინასასამართლო სამართალწარმოება

19. 2004 წლის 19 მარტს, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ („მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო“) დასაშვებად ცნო რა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა, გამოძიების და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის დროს, გასცა სამი თვის ვადით აპლიკანტის დაპატიმრების ბრძანება.

20. 2004 წლის 25 მარტის საბოლოო განჩინებით თბილისის საოლქო სასამართლომ არ მიიღო აპლიკანტის საჩივარი წარმოებაში, როგორც დაუშვებელი და 2004 წლის 19 მარტს დაპატიმრების შესახებ ბრძანება ძალაში დატოვა.

21. 2004 წლის 14 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლომ, მას შემდეგ რაც მოისმინა ორივე მხარის არგუმენტები, დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა 2004 წლის 16 სექტემბრამდე აპლიკანტის წინასწარი პატიმრობის გაგრძელების თაობაზე. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა და ამიტომ ის საბოლოო იყო.

22. 2004 წლის 22 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულის გამოვლენის დეპარტამენტის საფინანსო-საბუღალტრო სფეროს ექსპერტმა განახორციელა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მარეგულირებელი საქმიანობის აუდიტი („2004 წლის 20 ივლისის აუდიტის ანგარიში“). აღნიშნული ექსპერტის მომსახურების თაობაზე შუამდგომლობა წარადგინა გენერალურმა პროკურატურამ. თავდაპირველად,

ექსპერტმა ჩამოთვალა ის კანონები, რომელიც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა და რომლებიც ძალაში იყო 2003 წლის 1-ელ აპრილამდე და მას შემდეგ, რაც 2003 წლის 10 იანვარს ძალაში შევიდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. შემდეგ მან განასხვავა საქმიანობის განხორციელების სამი პერიოდი: (i) 2002 წლის 1-ლი იანვრიდან 2003 წლის 1-ელ აპრილამდე პერიოდი, რომელიც შეესაბამებოდა სამოქალაქო საავიაციო კომპანიებზე სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ „რეგულირების საფასურის“ დაკისრებას; (ii) 2003 წლის 1-ლი აპრილიდან 1-ელ ოქტომბრამდე პერიოდი, რომელიც შეესაბამებოდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ შესაბამისი კომპანიების საქმიანობის რეგულირებას, იმ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომლის მხარესაც ის წარმოადგენდა; (iii) 2003 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 2004 წლის 13 მარტამდე პერიოდი, როდესაც სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ შეაგროვა რეგულირების საფასური N1 ბრძანების საფუძველზე, რომელიც გაიცა სააგენტოს თავმჯდომარის, აპლიკანტის მიერ, 2003 წლის 25 ნოემბერს.

23. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამ გამოიწვია „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, ბრძანების ფორმით, „რეგულირების საფასურის“ დაკისრების აკრძალვა იმ კომპანიებზე, რომლებიც სამოქალაქო ავიაციის მიმართულებით საქმიანობენ და, აგრეთვე, აღნიშნული საფასურის გადახდის სავალდებულო ხასიათის გაუქმება“. მიუხედავად ამისა, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ განსაზღვრულა, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, მოლაპარაკების საფუძველზე შექმნილი ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიებისთვის სერვისის მიწოდება უკანონო იყო“. ექსპერტის განცხადებით, გადაწყვეტილება საპირისპიროს მიუთითებდა, რომ არსებობდა „მსგავსი ხელშეკრულებების საჭიროება და აღნიშნული საკითხი სამართლებრივად ამ გზით უნდა მოგვარებულიყო“. ექსპერტის ვარაუდით, აპლიკანტმა ეს უკანასკნელი მიმართულება აირჩია, „რაც მას საკონსტიტუციო სასამართლომ შესთავაზა“. ამან განაპირობა მის მიერ საქაერონავიგაციასა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან სადავო ხელშეკრულების გაფორმება 2003 წლის 28 მარტს, ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე სამი დღით ადრე. თითოეულ შემთხვევაში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ანაზღაურება გამოთვლილ იქნა ყოველთვიურად და მითითებული იყო, როგორც რეგულირების სფეროში გაწეული მომსახურების საფასური. სამივე ხელშეკრულება შეწყდა 2003 წლის 1-ელ ოქტომბერს.

24. რაც შეეხება აპლიკანტის მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს გამოცემულ N1 ბრძანებას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბრძანება, რომელიც იუსტიციის მინისტრმა 2003 წლის 27 ნოემბერს დაამტკიცა, შეიძლება რეტროსპექტულად გამოყენებულიყო 2003 წლის 1 ოქტომბრიდან - ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების გაუქმების თარიღიდან. მან განაცხადა, რომ ბრძანება უთითებდა ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირების უწყვეტი პროცესის დადებითი ფინანსური საქმიანობის შესახებ.

25. არსებული მტკიცებულებების შემოწმების შემდეგ, ექსპერტმა დაასკვნა, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ზემოთ ხსენებული სამი პერიოდის საქმიანობისთვის საფასურის დარიცხვა ეყრდნობოდა „შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებს“. უფრო მეტიც, ექსპერტმა დაადგინა, რომ იმ დროისთვის რეგულირების საფასური წარმოადგენდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სახელმწიფოს მიერ დაუფინანსებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, შემოსავლის ერთადერთ წყაროს. თუ სააგენტო არ მიიღებდა აღნიშნულ საფასურს, იგი იძულებული გახდებოდა ფუნქციონირება გაეგრძელებინა თანამშრომლებისთვის ხელფასის გადახდის გარეშე. ექსპერტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ კომპანიების მიერ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის რეგულირების საფასურის გადახდა შედიოდა იმ მომსახურების ფასში, რომელსაც კომპანიები კერძო პირებს (მგზავრობის ბილეთები) ან სხვა კომპანიებს (ტვირთის გადაზიდვა) სთავაზობდნენ. შესაბამისად, სააგენტოსთვის საფასურის გადახდა მათ რაიმე ფინანსურ ზიანს არ აყენებდა და, იმ შემთხვევაშიც, თუ იქნებოდა ფინანსური დანაკარგი, საბოლოოდ მას მომხმარებელი აანაზღაურებდა.

26. ექსპერტმა დაადგინა, რომ, 2003 წლის 1-ლი აპრილისა და 2004 წლის 13 მარტის პერიოდში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან, „Air-BP-Georgia“-სა და საქაერონავიგაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მარეგულირებელი მომსახურებისთვის 630,000 ლარი (დაახლოებით 310,000 ევრო (EUR)), ხოლო N1 ბრძანების საფუძველზე შეგროვებული საფასურის მეშვეობით 774,376 ლარი (დაახლოებით 380,000 ევრო (EUR)) მიიღო. ნებისმიერ შემთხვევაში, ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული თანხის სხვადასხვა კერძო კომპანიებისთვის დაკისრებას ჰქონდა განგრძობითი ხასიათი და მას საფუძველად ედო მოქმედი სამართლებრივი აქტები (კანონები ან სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები). გარდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ 2003 წლის 1-ლი აპრილისა და 2004 წლის 13 მარტის პერიოდში მიღებული ზემოთ ხსენებული ოდენობისა, იმავე პერიოდში აპლიკანტმა ხელფასისა და სამივლინებო ხარჯების სახით მიიღო 15,618 და 17,090 (დაახლოებით 7,500 და

8,200 ევრო) ლარის პირადი მოგება. 490,473,40 ლარი (დაახლოებით 225,000 ევრო) გადახდილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და სოციალური უსაფრთხოების ხარჯები, ხოლო დარჩენილი თანხა დაიხარჯა სააგენტოს თანამშრომლების ხელფასებსა და სხვადასხვა მმართველობით თუ სამივლინებო ხარჯებზე.

27. 2004 წლის 31 აგვისტოს შეწყდა წინასწარი გამოძიება და აპლიკანტს საბრალდებო დასკვნა გადაეცა. დასკვნის მიხედვით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ 2003 წლის 1-ლი აპრილისა და 1-ლი ოქტომბრის პერიოდში განახორციელა სამი უკანონო საქმიანობა: (i) პირველ ყოვლისა, მან, საკონსტიტუციო სასამართლოს 10 იანვრის გადაწყვეტილების დარღვევით, რვა საავიაციო კომპანიისგან მიიღო რეგულირების საფასური; (ii) მეორე რიგში, აპლიკანტის მიერ გაცემული N1 ბრძანების საფუძველზე სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს იგივე რეგულირების საფასური ოცდაორმა კომპანიამ გადაუხადა; (iii) და ბოლოს, სამმა კომპანიამ- საქაერონავიგაციამ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა და "Air-BP-Georgia-მ", აპლიკანტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სააგენტოს რეგულირების საფასური გადაუხადა. ამრიგად, კომპანიების განცდილმა მატერიალურმა ზიანმა ერთ მილიონ ლარს მიაღწია, აქედან 517,341,51 ლარის (დაახლოებით 250,000 ევრო) ზიანი მიადგა საქაერონავიგაციას. აპლიკანტმა მიღებული თანხები ხელფასების გადახდას და მმართველობასთან დაკავშირებულ და სამივლინებო ხარჯებს დაუთმო.

28. 2004 წლის 15 სექტემბერს აპლიკანტმა საბრალდებო დასკვნა მთავარი პროკურატურის გამომძიებელთან გაასაჩივრა; ის ამტკიცებდა, რომ მტკიცებულებები არ ადასტურებდა მის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებებს. კერძოდ, საგამომძიებო ორგანოებმა არ წარმოადგინეს ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, თუ როგორ მიაყენა ჩადენილმა ქმედებებმა ზიანი „საჯარო სამსახურს“ და რა უკანონო „პირადი მოგება“ მიიღო მან; რა უკანონო პირადი მოგება მიიღო მესამე პირებმა; მისი ქმედებით რა უფლებები დაერღვა კომპანიებს; სახელმწიფოს რომელი კანონიერი ინტერესი იყო უგულებელყოფილი; და ეს „უგულებელყოფა“ რის საფუძველზე იყო „არსებითი“ (ქვემოთ, 58-ე პარაგრაფში, იხილეთ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი). აპლიკანტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებას აძლევდა გაეგრძელებინა მომსახურების საფასურის დაკისრება, იმის გათვალისწინებით, რომ გადახდა ეფუძნებოდა შეთანხმების საფუძველზე შედგენილ ხელშეკრულებას და, როგორც ადრე, არ ჰქონდა იძულებითი ხასიათი. გამომძიებლის არგუმენტის

საწინააღმდეგოდ, კომპანიები იმ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებით, რომლებიც სამოქალაქო ავიაციის კომპანიასთან თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე იკისრეს, ვერ განიცდიდნენ რაიმე მნიშვნელოვან დანაკარგებს. გარდა ამისა, აღნიშნული კომპანიები ხელშეკრულებების არაკანონიერებაზე არასდროს დავობდნენ. და ბოლოს, აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ არ ყოფილა უგულებელყოფილი „სახელმწიფოს არც ერთი კანონიერი ინტერესი“; აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სახელმწიფო ვერ იდავებდა, რომ ის იყო ორ დამოუკიდებელ დაწესებულებას შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მსხვერპლი.

29. 2004 წლის 16 სექტემბერს გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა აპლიკანტის საჩივარი მისი დაუსაბუთებლობის გამო. მან განაცხადა, რომ 2004 წლის 31 აგვისტოს საბრალდებო დასკვნა ეფუძნებოდა გამომძიების დროს მოპოვებულ მტკიცებულებებს და აღნიშნული მტკიცებულება საკმარისი იყო ნებისმიერი ეჭვის გასაფანტად იმის შესახებ, რომ აპლიკანტმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. გამომძიებელმა აღნიშნა, რომ ყველა ვალდებულია დაემორჩილოს 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელსაც კანონის ძალა აქვს, თუმცა აპლიკანტმა აღნიშნული არ განახორციელა. 2003 წლის 1-ლი აპრილის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, აპლიკანტმა განაგრძო რეგულირების საფასურის მიღება, რომელსაც მოიხსენიებდა, როგორც „რეგულირების სფეროში გაწეული მომსახურების საფასურს“, რაც მიზნად ისახავდა საქმიანობის ბუნების დაფარვას. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო ავიაციის კომპანიის მიერ რეგულირების საფასურის ფორმით შემოსავლების მოპოვება არაკონსტიტუციური იყო. აპლიკანტმა და მისმა თანამშრომლებმა თანხებიდან ხელფასის, მმართველობასთან დაკავშირებული და სამივლინებო ხარჯების სახით პირადი მოგება მიიღეს. მაგალითად, მომჩივანმა სულ ხელფასის სახით მიიღო 15,618 ლარი (დაახლოებით 7,500 ევრო). გამომძიებლის განცხადების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიებმა აღნიშნეს, რომ აპლიკანტის საქმიანობიდან გამომდინარე მათ ზიანი არ მიყენებიათ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დარღვევით სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ რეგულირების საფასურის დაკისრებამ დააზიანა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი. უფრო მეტიც, 2003 წლის 27 ნოემბერს იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული N1 ბრძანებისთვის რეტროსპექტიული ძალის მინიჭებით, აპლიკანტმა საფრთხე შეუქმნა შესაბამისი კომპანიების კეთილდღეობას.

30. 2004 წლის 18 სექტემბერს აპლიკანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა მთავარ პროკურორთან. ის აცხადებდა, რომ გამომძიებელმა ვერ შეძლო სათანადოდ შეეფასებინა საქმის გარემოებები. მომჩივანმა კიდევ ერთხელ გაიმეორა 2004 წლის 15 სექტემბრის საჩივარში მითითებული არგუმენტები (ზემოთ, იხ. 28-ე პარაგრაფი).

31. 2004 წლის 18 სექტემბერს მთავარი პროკურატურის პროკურორმა უპასუხა აპლიკანტს და განაცხადა, რომ მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან 2004 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება სათანადოდ და ამომწურავად პასუხობდა მის ყველა პრეტენზიას.

32. 2004 წლის 20 სექტემბრის საბრალდებო დასკვნა დაამტკიცა მთავარი პროკურორის მოადგილემ და საქმე განსახილველად გადაეცა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, თბილისში („ვაკე-საბურთალოს სასამართლო“).

33. 2005 წლის 1-ელ თებერვალს აპლიკანტმა მიმართა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს. იგი ამტკიცებდა, რომ 2004 წლის 16 სექტემბრიდან უკანონოდ იყო დაპატიმრებული. კერძოდ, მისი წინასწარი პატიმრობის ვადა ზემოთ მითითებულ დროს ამოიწურა და არ მომხდარა მისი გაგრძელება. ამრიგად, ის ითხოვდა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

34. 2005 წლის 16 მარტს ვაკე-საბურთალოს სასამართლომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით წინასასამართლო სხდომა გამართა და დაადგინა, რომ აპლიკანტი წინამდებარე საქმეში ბრალდებულს წარმოადგენდა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილი). წინასწარი პატიმრობის არაკანონიერებასთან დაკავშირებით 2005 წლის 1-ელ თებერვალს აპლიკანტის მიერ წარდგენილ საჩივარზე პასუხგაუცემლად, სასამართლომ დააკმაყოფილა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა. სასამართლოს განჩინების საფუძველი იყო „ბრალდების ბუნება“ და ის გარემოება, რომ დასაშვებობის ეტაპზე სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას ყოველმხრივ გამოეკვლია გათავისუფლებასთან დაკავშირებული აპლიკანტის არგუმენტები.

35. განუსაზღვრელ დროს, სასამართლო სისტემის რეფორმისა და ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გაუქმების შემდეგ, აპლიკანტის საქმე განსახილველად გადაეცა ახლად შექმნილ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

2. 2005 წლის 23 მარტისა და 3 აგვისტოს პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხორციელებული სამართალწარმოება

36. თბილისის საქალაქოს სასამართლოს მიერ დაკითხვის დროს, საქაერონავიგაციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა და მთავარმა ბუღალტერმა დაადასტურეს, რომ მათმა კომპანიამ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შესაბამისი საფასური საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შემდეგაც გადაუხადა, ან ხელშეკრულების ან N1 ბრძანების საფუძველზე. იმ დროისთვის, მათ არ იცოდნენ, რომ ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლებულნი იყვნენ გადახდის ვალდებულებისგან.

37. თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა და „Air-BP-Georgia“-ს მმართველებმა სასამართლოს დაუდასტურეს, რომ მათმა კომპანიებმა თანხა გადაიხადეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად. მმართველებმა განაცხადეს, რომ საფასურის სანაცვლოდ სააგენტომ მათ საქმიანობის ლიცენზია მისცა და ასეთი სერტიფიკატის გარეშე თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის შეუძლებელი იქნებოდა საერთაშორისო ფრენების მასპინძლობა.

38. საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დაკითხვისას, ბ-ნმა ჯ.კ.-მ, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, განმარტა, რომ იმ დროისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შემდეგ, მიღებული უნდა ყოფილიყო ახალი კანონი, თუმცა ეს პროცესი დაყოვნდა; თუ აპლიკანტი არ გადაწყვეტდა რეგულაციას დაქვემდებარებულ კომპანიებთან სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმებას, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, რომელიც სახელმწიფოსგან არ ფინანსდებოდა, იძულებული იქნებოდა შეეწყვიტა საქმიანობა. რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს აეროპორტების თანამშრომლები აღარ იქნებოდნენ სერტიფიცირებულები, არცერთ თვითმფრინავს არ შეეძლებოდა აღნიშნულ აეროპორტებში დაფრენის შესაძლებლობა და არცერთი ქვეყანა არ მისცემდა საქართველოს აეროპორტებიდან გაფრენილ თვითმფრინავებს ტერიტორიაზე შესვლის უფლებას. მაგალითისთვის, აირზენამ, ავიაკომპანია, რომლის მიერ დაწყებულ საქმის წარმოებასაც შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება მოყვა, თვითმფრინავი ლიზინგით გერმანიაში იქირავა იმ პირობით, რომ სამოქალაქო ავიაციის კომპანიამ, გერმანიის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აიღო ვალდებულებას ზედამხედველობა გაეწია აღნიშნულ თვითმფრინავზე და დაერეგულირებინა შესაბამისი საქმიანობები. თუ სამოქალაქო ავიაციის კომპანია შეწყვეტდა საქმიანობას, გერმანია ლიზინგის საფუძველზე საკუთარ თვითმფრინავს

აირზენას აღარ მიაქირავებდა. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ აქტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, აპლიკანტის მიერ ხელშეკრულებების გაფორმება მიზნად ისახავდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში მსგავსი ხარვეზების თავიდან აცილებას.

39. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის მეორე მოადგილემ სასამართლოს განუცხადა, რომ იგი პირადად მუშაობდა იმ ხელშეკრულებების შედგენაზე, რომელიც დაიდო სამ სამოქალაქო საავიაციო კომპანიასთან. იგი აცხადებდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები, რომლებიც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დაფინანსების ერთადერთი წყარო იყო, საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ მათი არაკონსტიტუციურად გამოცხადებით ბათილად ცნო შესაბამისი სამართლებრივი დებულებები.

40. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ბუღალტერმა სასამართლოს წარუდგინა ახსნა-განმარტება, რომ 2002 წლის 1-ლი იანვრიდან, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, სააგენტო გამოეყო ტრანსპორტის სამინისტროს და იგი იურიდიულად სრულად დამოუკიდებელი ორგანო გახდა. განხორციელდა სააგენტოსთვის საჯარო უფლებამოსილების დელეგირება, მათ შორის ფრენის უსაფრთხოების ზედამხედველობის სფეროში. აღნიშნული თარიღის შემდეგ, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აღარ ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და, შესაბამისად, იგი იძულებული გახდა სამოქალაქო ავიაციაში მომუშავე სხვადასხვა კერძო კომპანიებიდან მოეგროვებინა საფასური. თუმცა, მას შემდეგ რაც საკონსტიტუციო სასამართლომ ბათილად ცნო შესაბამისი სამართლებრივი დებულებები, რომლებიც არეგულირებდნენ „სატრანსპორტო საქმიანობისთვის ყოველწლიური საფასურის“ შეგროვებას, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, ელოდებოდა რა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ ახალი კანონმდებლობის მიღებას, იძულებული გახდა ხელშეკრულებები დაედო სამოქალაქო საავიაციო კომპანიებთან. 2003 წლის 14 აგვისტოს რეგულირების აქტში განხორციელებული ცვლილების შემდეგ (ქვემო, იხ. 77-80 პარაგრაფები), სამოქალაქო ავიაციის თავმჯდომარე, აპლიკანტი, უფლებამოსილი გახდა გამოეცა ბრძანებები კომპანიების მიერ გადასახადი საფასურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

41. საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დაკითხვისას, სამოქალაქო ავიაციაში მომუშავე სხვადასხვა კერძო კომპანიების წარმომადგენლებმა, რომლებიც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ, განაცხადეს, რომ 2003 წლის 1-ელ აპრილამდე ისინი რეგულირების საფასურს კანონის შესაბამისად იხდიდნენ. საკონსტიტუციო

სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შემდეგ, მათ შეწყვიტეს საფასურის გადახდა და მხოლოდ 2003 წლის 1-ელ ოქტომბერს განაახლეს, აპლიკანტის მიერ გამოცემული N1 ბრძანების შედეგად.

42. საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დაკითხვისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-საბუღალტრო სფეროს ექსპერტმა, რომელმაც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საქმიანობის შესახებ აუდიტის დასკვნა გამოსცა, 2003 წლის 1-ლი აპრილისა და 2004 წლის 13 მარტის პერიოდში სააგენტოს მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით დასკვნაში არსებული მოსაზრებები დაადასტურა.

43. სასამართლოს წინაშე პოზიციების წარდგენისას, აპლიკანტმა გაიმეორა ის არგუმენტები, რაც დაასახელა გამოძიების დროს, კერძოდ, 2005 წლის 14 სექტემბრის საჩივარში (ზემოთ, იხ. 28-ე პარაგრაფი). მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ის თანხა, რის უკანონოდ მიღებაშიც მას გაუმართლებლად ედებოდა ბრალი, მან სახელმწიფოს გადაუხადა, კერძოდ - 490,473 ლარი, ხოლო დანარჩენი გამოყენებულ იქნა სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის დასაფინანსებლად (იხილეთ ზემოხსენებული ექსპერტის დასკვნა, რომელიც მითითებულია, ზემოთ, პარაგრაფი 22-26). შესაბამისად, არც მას ან ვინმე სხვა პირს თანხიდან პირადი მოგება არ მიუღია. აპლიკანტი დავობდა, რომ საფინანსო-საბუღალტრო სფეროს ექსპერტის დასკვნა ადასტურებდა მისი ქმედებების კანონიერებას. მან განმარტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის გადადების მიზანი იყო პარლამენტისთვის საკმარისი დროის მიცემა, რათა მიეღოთ კანონი და შეეცხოთ აღნიშნული გადაწყვეტილებით შექმნილი ცარიელი სივრცე. იმისათვის, რომ სააგენტო დაფინანსების გარეშე არ დარჩენილიყო, რაც ნიშნავდა ფრენის უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენებას, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში ცალსახად აღნიშნა, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შეეძლო საავიაციო კომპანიებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა; რაც ამასთანავე პირობების თავისუფალი ნების საფუძველზე შეთანხმების შესაძლებლობას წარმოქმნიდა.

44. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მიზეზები საფუძვლად ედო 2003 წლის 25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ N364 ბრძანებულებას (ქვემოთ, იხ. 82-ე პარაგრაფი). აღნიშნული ბრძანებულება, ისევე როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მე-13 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, აპლიკანტს, როგორც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარეს, აძლევდა პირდაპირ უფლებას სამოქალაქო ავიაციაში მომუშავე კომპანიებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლით მოეპოვებინა

დაფინანსების წყარო. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შედეგად, 2003 წლის 14 აგვისტოს ახალი კანონი მიიღეს, რომელიც ძალაში შევიდა 2003 წლის 15 სექტემბერს. აპლიკანტმა N1 ბრძანება კანონის შესაბამისად გამოსცა და შემდეგში რეგისტრაციისთვის იუსტიციის მინისტრს წარუდგინა. იუსტიციის მინისტრმა 2003 წლის 27 ნოემბერს ბრძანება დაადასტურა და, ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 54-ე მუხლის მიხედვით, 2003 წლის 1-ლი ოქტომბრიდან დაამტკიცა მისი რეტროსპექტული გამოყენება იმ საფუძვლებით, რომ ბრძანებას დაქვემდებარებულ ყველა კომპანიას ჰქონდა საჭირო სამართლებრივი იდენტიფიკაციის ნომრები და კოდები. მომჩივანმა აღნიშნა, რომ თუ ბრძანების რეტროსპექტულად გამოყენება უკანონო იყო, იუსტიციის მინისტრი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აცნობებდა ამის შესახებ და მითითებას მისცემდა, კანონის შესაბამისად, აუცილებელი ცვლილებების განხორციელების თაობაზე. აპლიკანტმა დაასკვნა, რომ ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელებისას მის მიერ გატარებული ღონისძიებები არ ეწინააღმდეგებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ან იმ დროს მოქმედ რაიმე სხვა იურიდიულ დებულებას; ამრიგად, მისი ქმედებები ვერ მიიჩნეოდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად.

3. აპლიკანტის მსჯავრდება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის

45. 2005 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ გენერალური პროკურატურის მიერ წარდგენილი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდების სამი ეპიზოდიდან ორ ეპიზოდში მომჩივანი დამნაშავედ ცნო (ზემოთ, იხ. 27-ე პარაგრაფი), ხოლო ერთ ეპიზოდში გაამართლა. გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, 2003 წლის 1-ლი აპრილიდან 1-ელ ოქტომბრამდე პერიოდში, სამოქალაქო ავიაციაში მომუშავე რვა კომპანიიდან, მათ შორის, საქაერონავიგაციისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან, „სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასურის“ შეგროვებისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისი ოდენობა შეესაბამებოდა აღნიშნული კომპანიების დავალიანებას სამოქალაქო ავიაციის მიმართ, 2003 წლის 1-ელ აპრილამდე პერიოდში.

46. რაც შეეხება დანარჩენ ორ ეპიზოდს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტმა, 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დარღვევით, უკანონოდ გააფორმა ხელშეკრულება 2003 წლის 28 მარტსა და 13 აგვისტოში, საქაერონავიგაციას, თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და „Air-BP-Georgia“-სთან. შესაბამისად, 2003 წლის 1-ლი ოქტომბრისა

და 1-ლი აპრილის პერიოდში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ უკანონოდ მიიღო 425,000 (დაახლოებით 208,000 ევრო), 180,000 (დაახლოებით 83,000 ევრო) და 25,000 ლარი (დაახლოებით 11,000 ევრო). აღნიშნული თანხა აპლიკანტმა უკანონოდ მოახმარა თანამშრომლებისა და საკუთარ ხელფასს, აგრეთვე, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს სამივლინებო და მმართველობით ხარჯებს. გარდა ამისა, აპლიკანტს მსჯავრი დაედო N1 ბრძანების გამოცემისთვის, რომელსაც მან რეტროსპექტული ეფექტი მიანიჭა. ეს ბრძანება საფუძვლად დაედო 2003 წლის 1-ლი ოქტომბრისა და 2004 წლის 13 მარტის პერიოდში, ოცდაორი კომპანიიდან, 281,344,23 ლარის (დაახლოებით 133,000 ევრო) ოდენობის მოსაკრებლის შეგროვებას, რომელიც ასევე უკანონო გზით დაიხარჯა.

47. თბილისის საქალაქო სასამართლომ განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმებოდა აპლიკანტის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მას უფლებას აძლევდა კომპანიებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესულიყო და რომ სამოქალაქო ავიაციის კომპანია ვეღარ შეძლებდა საქმიანობის გაგრძელებას, თუ აღნიშნული ხელშეკრულებები არ დაიდებოდა. თუმცა, სასამართლოს საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად მიზეზები არ წარმოუდგენია.

48. რაც შეეხება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებით საფინანსო-საბუღალტრო სფეროს ექსპერტის მიერ მომზადებულ აუდიტის დასკვნას, თბილისის საქალაქომ აღნიშნა, რომ ექსპერტი შინაგან საქმეთა სამინისტროდან იყო და მან სასამართლო პროცესზე დაკითხვის დროს დაადასტურა დასკვნაში არსებული მტკიცებები. სასამართლოს არ წარმოუდგენია ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ გაითვალისწინა ექსპერტის განცხადებები.

49. 2005 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით აპლიკანტი დამნაშავედ ცნეს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში და ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას ასევე აეკრძალა ორი წლის განმავლობაში საჯარო თანამდებობის დაკავება.

50. აპლიკანტმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა და განაცხადა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს არ დაუდგენია, თუ რომელმა სადავო ქმედებამ დაარღვია საჯარო სამსახურის მოთხოვნები, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი 1-ლი ნაწილის მნიშვნელობის ფარგლებში, აგრეთვე, ზუსტად რომელი ელემენტებისგან შედგებოდა სისხლის სამართლის დანაშაული, რა იყო მისი

გამომწვევი მიზეზები და რა იყო დანაშაულის მიზანი და შედეგები. უფრო მეტიც, თბილისის საქალაქო სასამართლოს არ განუმარტავს თუ როგორ დააზიანა მისმა ქმედებებმა ოცდაორი კომპანიის ინტერესები, როდესაც არც ერთ აღნიშნულ კომპანიას არ გამოუხატავს რაიმე ინტერესი ჩართულიყვნენ სისხლის სამართლის საქმის პროცესში და არც ერთ მათგანს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიმართ ცალკე სამოქალაქო სამართალწარმოება არ დაუწყია.

51. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკითხვის დროს, თოთხმეტი კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ განუცდიათ ფინანსური ზიანი არც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის მომსახურების საფასურის გადახდის შედეგად და არც შესაბამისი ხელშეკრულებების ან N1 ბრძანების საფუძველზე. გარდა ამისა, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის თანხა კომპანიებს არ გადაუხდიათ, ვინაიდან იგი შედიოდა თვითმფრინავის ბილეთის ფასში და მას იხდიდნენ მგზავრები (ზემოთ, იხ., აგრეთვე, საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტის დასკვნა, 22-26 პარაგრაფები). 2005 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მომჩივანი გაამართლა ზემოთ ხსენებულ თოთხმეტი კომპანიასთან მიმართებით არსებულ ბრალდებაში. სააპელაციო სასამართლომ ბრალდების დარჩენილ ნაწილში, კერძოდ, სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ან N1 ბრძანების საფუძველზე მომსახურების საფასურის შეგროვებასთან დაკავშირებით, ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შეიცვალა აპლიკანტის სასჯელი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

52. მომჩივანმა სამართლებრივი საკითხები გაასაჩივრა და დავობდა, რომ მისი საქმე ზედაპირულად განიხილეს. ის აცხადებდა, რომ მხედველობაში არ ყოფილა მიღებული საფინანსო-საბუღალტრო სფეროს ექსპერტის 2004 წლის 20 ივლისის დასკვნა (ზემოთ, იხ. 22-26 პარაგრაფები). აპლიკანტი ჩიოდა, რომ ზემოთ ხსენებულ რვა კომპანიასთან მიმართებით ზიანის არსებობის საკითხის განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო საკითხის განსჯა დანარჩენი კომპანიების, განსაკუთრებით საქაერონავიგაციის, მსგავს ჭრილში, რომელმაც როგორც ამტკიცებენ ყველაზე მეტი დანაკარგი განიცადა. ფაქტობრივად, აპლიკანტის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო საქმის იმ ნაწილის ან საფინანსო-საბუღალტრო სფეროს ექსპერტის მოსაზრების გათვალისწინება, რომ საქაეროვანიგაცია ზიანს ვერ განიცდიდა. აპლიკანტმა დაასკვნა, რომ მისი დამნაშავეობის დასადასტურებლად ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება აშკარად არასაკმარისი და თვითნებური იყო.

53. 2006 წლის 14 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სამართლის საკითხებთან დაკავშირებული მომჩივნის საჩივარი და განაცხადა, რომ 2003 წლის 1-ლი აპრილის შემდეგ სხვადასხვა კერძო კომპანიებისთვის საფასურის დაკისრებით აპლიკანტმა არასწორად გამოიყენა 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და, შესაბამისად, მან ჩაიდინა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რითიც დაარღვია სხვადასხვა იურიდიული პირის უფლებები და სახელმწიფოს სამართლებრივი ინტერესები.

54. სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ, აპლიკანტი 2008 წლის 14 მარტს გათავისუფლდა.

C. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერის შინაარსი

55. 2003 წლის დეკემბერში, სანამ მომჩივნის მიმართ გამოძიების წარმოება დაიწყებოდა და დააკავებდნენ, და მას შემდეგ, რაც ვარდების რევოლუციამ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა გამოიწვია (იხ. საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ, საჩ. ნომ., 9103/04, §§ 11-13, ECHR 2008), ბ-ნმა მ. სააკაშვილმა, რომელსაც იმ დროისთვის სახელმწიფო თანამდებობა არ ეკავა, თუმცა როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი კამპანიას აწარმოებდა, თბილისის სპორტის სასახლეში ქართული კომპანიების წარმომადგენლებს მიმართა. მან განაცხადა, რომ ძველი, კორუფციული და უსამართლო რეჟიმის გაუქმების მიზანი არ იყო მხოლოდ ერთი პოლიტიკური კლანის მეორეთი ჩანაცვლება. მან პირობა დადო, რომ ნეპოტიზმი, მიუხედავად მისი წარმომავლობისა, ძველი თუ ახალი რეჟიმის წარმომადგენლების მხრიდან აღარ იარსებებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მან განაცხადა:

„ტელევიზორში გუშინ მოვისმინე ახალი ამბები: როგორც ჩანს, ზურაბ ც.-მ, ყოფილი პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ, მისი შვილი სამოქალაქო ავიაციის ხელისუფლების თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა! ახლა არის 3.35 სთ. მე ვეუბნები [აპლიკანტს]: ან ის თავიდან მოიშორებს ც.-ს..., ან ის თავად წავა ციხეში!... როგორც ამბობენ, ჩვენ ვავალებთ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებს დაიჭიროს ძველი რეჟიმის თანამდებობის პირები, თითქოს აღნიშნული არღვევდეს ადამიანის უფლებებს! დიახ, ვადასტურებ, ყველა, ვინც დასაპატიმრებელია, იქნება ციხეში. მხოლოდ მაშინ გაახსენდათ ადამიანის უფლებები, როდესაც საქმე მათ ინტერესებს შეეხო... საიდან მოიტანა ფული [ყოფილმა მერმა], რათა თავდასაცავად ადვოკატები დაექირავებინა და... მოსკოვში ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ეცხოვრა, როცა ერთი ღამის ღირებულება რამდენიმე

თვის თქვენს პენსიას უდრის..? თქვენი ფული, საქართველოს ფული, არ ამოგაცალეს ჯიბეებიდან?...”

56. აპლიკანტის განცხადებით, 2004 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტად არჩეული ბ-ნი სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ზურაბ ც.-ს შვილი დაუყოვნებლივ გადადგა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან, 2004 წლის მარტში ზემოთ ხსენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით აპლიკანტის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება და, 2004 წლის მარტის საპარლამენტო არჩევნებში, იგივე ზურაბ ც. ბ-ნი სააკაშვილის პარტიის სიიდან ხელახლა აირჩიეს პარლამენტში.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

A. იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი:

57. პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები შემდეგნაირად იკითხება:

159-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი „დაპატიმრება”

„1. არავის დაპატიმრება არ შეიძლება მოსამართლის ბრძანების ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

2. სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაპატიმრებული ნებისმიერი პირი.”

447-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილი „სამართალში მიცემა”

„1. სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად საკმაო საფუძვლის არსებობისას მოსამართლე (სასამართლო), წინასწარ არ წყვეტს რა ბრალეულობის საკითხს, გამოიტანს დადგენილებას (განჩინებას) ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ...

3. განმწესრიგებელ სხდომაზე, ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების (განჩინება) მიღების გარდა, მოსამართლე (სასამართლო) ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების დაკისრების შესახებ საკითხს წყვეტს.”

419-ე მუხლი „სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის ვადა”

„სამართალში მიცემის საკითხი მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გადაწყვიტოს არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე – არა უგვიანეს ერთი თვისა მის წარმოებაში არსებულ ბოლო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან..”

B. სისხლის სამართლის კოდექსი

58. იმ დროისთვის, როდესაც აპლიკანტს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა, სისხლის სამართლის 332-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულს, შემდეგნაირად იკითხებოდა:

332-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილი -

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. 3. ამ მუხლის პირველი გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე, რომელსაც თან ახლავს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით სამ წლამდე.

C. იმ დროს მოქმედი 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი ნორმატიული აქტების შესახებ

59. იმ დროს, როდესაც აპლიკანტს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა, აღნიშნული კანონის 33-ე და 53-ე მუხლი შემდეგნაირად იკითხებოდა:

33-ე მუხლის მე-4 პუნქტი

„საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი გადაეცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტრო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის გადაცემიდან ორი კვირის ვადაში იძლევა დასკვნას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან და პრეზიდენტის ბრძანებულებებთან მისი შესაბამისობის თაობაზე.“

54-ე მუხლი

1. ნორმატიული აქტების მიმღები (გამომცემი) ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ვალდებულია, ნორმატიული აქტი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში სარეგისტრაციოდ გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

2. ნორმატიულ აქტებს ... უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული იუსტიციის სამინისტროს დასკვნა.

3. იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტები შეაქვს სახელმწიფო რეესტრში და ანიჭებს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდს გადაცემიდან 3 დღის ვადაში.

4. საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანამდე, იუსტიციის მინისტრმა უნდა გამოსცეს დასკვნა ნორმატიული აქტის უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის თაობაზე. თუ დასკვნა უარყოფითია, იუსტიციის მინისტრმა ნორმატიული აქტი სახელმწიფო რეესტრში არ უნდა შეიტანოს.

5. ნორმატიული აქტის რეგისტრაციაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ:

ბ) კანონმდებლობაში შეტანილია ცვლილებები რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებს;

D. იმ დროს მოქმედი 1999 წლის 28 მაისის კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ

60. იმ დროს, როდესაც აპლიკანტი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარე იყო, აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი შემდეგნაირად იკითხებოდა:

მე-13 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;”

E. სხვადასხვა სამართლებრივი აქტები სამოქალაქო ავიაციის შესახებ

61. სამოქალაქო ავიაციის სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელ საქმიანობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა დროთა განმავლობაში შეიცვალა. წინამდებარე საქმის მიზნებისთვის, შესაბამისი სამართლებრივი დებულებების მიმოხილვა შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: - i. როგორ განვითარდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა 2002 წლის 12 მარტისა და 2004 წლის 13 მარტის პერიოდში, როდესაც აპლიკანტს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა; და ii. ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა 2004 წლის 13 მარტს აპლიკანტის მიერ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ დღემდე.

1. *2004 წლის 13 მარტამდე არსებული ეროვნული კანონმდებლობა სამოქალაქო ავიაციაში სახელმწიფო მარეგულირებელ საქმიანობაზე*

ა) 2001 წლის 28 დეკემბერს მიღებული ტრანსპორტის მინისტრის N110 ბრძანება

62. აღნიშნული ბრძანებით ტრანსპორტის მინისტრმა დაამტკიცა სამოქალაქო ავიაციის წესდება.

63. წესდების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს განსაზღვრავდა, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც ჰქონდა სამოქალაქო ავიაციის რეგულირების, ზედამხედველობისა და კონტროლის ამოცანა. აღნიშნული ამოცანის შესრულების შესახებ, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ანგარიშს აბარებდა ტრანსპორტის მინისტრს.

64. მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო ავიაციის რეგულირება მიზნად ისახავდა ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მათი ფუნქციონირებისთვის სამართლებრივი, ტექნიკური, ტექნოლოგიური და ფინანსური ასპექტების მოწესრიგებას.

65. მე-7 მუხლის თანახმად, სამოქალაქო ავიაციის თავმჯდომარე, რომელიც ტრანსპორტის მინისტრის მიერ ინიშნებოდა, უზრუნველყოფდა, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აღწევდა ზემოთ ხსენებულ მიზნებს; უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემდა ბრძანებებს და ა.შ. მე-7 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თავმჯდომარე ასევე ასრულებდა „სხვა საქმიანობას, რომლისთვისაც ის პასუხისმგებელი იყო ქართული კანონმდებლობის თანახმად“.

66. მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შემოსავლის ძირითადი წყარო იყო სახელმწიფო რეგულირების შესახებ კანონით გათვალისწინებული „რეგულირების საფასური“, ისევე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი დაფინანსების წყაროები.

67. 2003 წლის 14 ივლისს, 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების საფუძველზე, ტერმინი „სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასური“ ამოღებულ იქნა მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტიდან (ქვემოთ, იხ. პარაგრაფები...)

ც) 2001 წლის 20 ივნისის კანონი ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ („რეგულირების აქტი“)

72. 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პირდაპირი შედეგი იყო რეგულირების აქტის ძირითადი გადასინჯვა, რომელმაც ცვლილება 2003 წლის 14 აგვისტოს განიცადა.

73. შემდეგ არის შეჯამება თუ რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა ცვლილებამ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოზე.

74. 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, კანონის 1-ლი მუხლი და მე-9(5) მუხლი განსაზღვრავდა, რომ „სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასური“, რაც სააგენტოს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა, უნდა დადგენილიყო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტით. საფასური დაკავშირებული იყო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ კანონით დაკისრებული რეგულაციური ფუნქციების შესრულებაზე; საფასური უნდა ყოფილიყო გონივრული და არადისკრიმინაციული. ის არ წარმოადგენდა კომერციული საქმიანობიდან შემოსავალს.

75. 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული მუხლები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა 2003 წლის 1-ლი აპრილიდან (ზემოთ, იხ., აგრეთვე, 9-13 პარაგრაფები).

76. 2003 წლის 1-ელ აპრილამდე, რეგულირების აქტის მე-14 მუხლი შემდეგნაირად იკითხებოდა:

(ყოფილი) მე-14 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები

2. ადმინისტრაციის ბიუჯეტის წყაროებია:

ა) სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასური;

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დაფინანსების სხვა წყაროები.

3. სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასური მთლიანად ჩაირიცხება ადმინისტრაციის ანგარიშზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ადმინისტრაცია ამ თანხას განკარგავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ადმინისტრაციის ბიუჯეტს შესაბამის დასაბუთებასთან ერთად ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის წარდგინებით.

77. 2003 წლის 1-ლი აპრილის შემდეგ, მე-14 მუხლის მე-2(ა) და მე-3 პუნქტმა არაკონსტიტუციურობის საფუძველზე ძალა დაკარგეს, ხოლო 2003 წლის 14 აგვისტოს ცვლილებამ ბათილად ცნო მე-5 პუნქტი. ამდენად, ცვლილების მეშვეობით, შესწორებული მე-14 მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„ადმინისტრაციის ბიუჯეტის წყაროებია – „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით ნებადართული შემოსავლები.“

78. 2003 წლის 1-ელ აპრილამდე, 22(1) მუხლი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული:

22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

„ტრანსპორტის სფეროში, მომსახურების საფასური მოიცავს ნებისმიერ ხარჯს, რომელიც საჭიროა მომსახურების მიწოდებისათვის და რომელიც ეკონომიკურად გამართლებულია, მათ შორის სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასური.“

79. 2003 წლის 14 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებით, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტერმინი „სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასური“, რომელიც 2003 წლის 10 იანვარს არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, ჩანაცვლდა „ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი ხარჯებით“.

80. 2003 წლის 14 აგვისტოს ცვლილებები ითვალისწინებდა გარდამავალ დებულებებს, მათ შორისაა 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი:

24-ე მუხლის მე-5 პუნქტი

„შესაბამისი საკანონმდებლო აქტით რეგულირების საფასურის ზღვრული ოდენობის დადგენამდე რეგულირების საფასურის ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი ადმინისტრაცია.“

81. 2003 წლის 25 ნოემბერს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის, N1 ბრძანების 1-ელ მუხლში მითითებული იყო რომ იგი ეფუძნებოდა რეგულირების აქტის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტს (ზემოთ, იხ., ასევე, მე-16 პარაგრაფი). ამრიგად, ბრძანება ადგენდა სამოქალაქო ავიაციის სფეროში სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების საფასურის ოდენობასა და გადახდის პირობებს.

d) 2003 წლის 25 ივლისის N364 პრეზიდენტის ბრძანებულება

82. პრეამბულის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანებულება გამოსცა 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, და აუცილებელი ინსტიტუციონალური რეფორმების განხორციელების ფარგლებში. ბრძანებულების 1-ლი მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„რეგულირების აქტის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, როგორცაა... სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, უფლებამოსილი არიან ბიუჯეტი დააფინანსონ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული მომსახურების ღირებულების შესაბამისი ოდენობის საფასურის დაკისრებით.“

2. სამოქალაქო ავიაციის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის განვითარება 2004 წლის 13 მარტიდან დღემდე

83. 2004 წლის 30 ივნისს რეგულირების აქტში შემოღებულ იქნა ახალი თავი VI, რომელიც ეხებოდა რეგულირების საფასურს და აუქმებდა ზემოთ ხსენებულ გარდამავალ დებულებას (24 (5) მუხლი). აღნიშნული თავის შესაბამისი დებულებები შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

„1. რეგულირების საფასური [სამოქალაქო ავიაციისთვის] წარმოადგენს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ კანონით დაკისრებული მარეგულირებელი ფუნქციების შესრულებისას გაწეული ხარჯების დაფარვის საშუალებას. რეგულირების საფასური არ უნდა აღემატებოდეს გადამხდელის მიერ გაწეული მომსახურების ან გადამხდელის მიერ სამოქალაქო საავიაციო საქმიანობით მიღებული შემოსავლის, გარდა დღგ-სა, 2%-ს.“

2. რეგულირების საფასურის გადახდის წესი განსაზღვრული უნდა იყოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ნორმატიული აქტით, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ:

ა) სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შეუძლია დაკისრებული ამოცანების შესრულება...;

ბ) სააგენტოს მიერ კომპანიებისთვის მარეგულირებელი მომსახურების შესრულებისას გაწეული ხარჯი დაიფარება;

გ) მხარეთა უფლებები დაცულია სატრანსპორტო საქმიანობის უსაფრთხოდ და ეფექტურად განხორციელების გზით...“

84. რეგულირების აქტში ახალი თავის საფუძველზე აპლიკანტის მემკვიდრემ, რომელიც აპლიკანტის გადადგომის შემდეგ დაინიშნა, 2004 წლის 16 აგვისტოს N3 ბრძანება გამოსცა. მომჩივნის N1 ბრძანების მსგავსად, ახალი ბრძანება აწესებდა სამოქალაქო ავიაციის სფეროში საავიაციო სააგენტოს მიერ სხვადასხვა კერძო კომერციული საქმიანობისთვის დაკისრებული რეგულირების საფასურის განაკვეთს.

იუსტიციის მინისტრმა N3 ბრძანება სათანადოდ დაამტკიცა და ის ძალაში რაიმე დაბრკოლების გარეშე შევიდა.

85. 2007 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ, რომელიც ამჟამად ძალაშია. ახალი კანონის მიღებამ ავტომატურად გამოიწვია 2001 წლის 20 ივნისის სახელმწიფო რეგულირების შესახებ კანონის და, მისი თანმხლები, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული N3 ბრძანების გაუქმება (ობ. წინა პარაგრაფი).

86. ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ ახალი კანონის 1(ზ) და მე-9 მუხლის თანახმად, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უფლებამოსილი იყო იმავე სფეროში მოღვაწე კერძო კომპანიებისგან მიეღო რეგულირების საფასური, რათა მას შეძლებოდა სახელმწიფოს სახელით სამოქალაქო ავიაციის მიმართულებით რეგულაციური ფუნქცია შეესრულებინა. კანონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აღნიშნული საფასურის გადახდა „სავალდებულო“ იყო, ვინაიდან ეს წარმოადგენდა მარეგულირებელი ორგანოს მიერ შესრულებული საჯარო მომსახურების კომპენსაციას. აღნიშნული საფასურის გადახდა გარდა, მე-9 მუხლი ითვალისწინებდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შემოსავლების დამატებით წყაროებს, როგორცაა სხვადასხვა სამოქალაქო ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების მოპოვება.

87. 2011 წლის 14 აპრილს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გამოსცა ბრძანება N 1-1 / 583, რითაც დაადასტურა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წესდება, „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შესაბამისად. ამ ბრძანების მე-7 მუხლის მოქმედმა (გ) და (დ) ქვეპუნქტებმა, დაადასტურა, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შემოსავლების პირველადი წყარო იყო ან სამოქალაქო ავიაციის სექტორში მოქმედი კომპანიებისგან მარეგულირებელი მომსახურების სანაცვლოდ სავალდებულოდ შეგროვებული რეგულირების საფასურები ან ცალკე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობებისგან მიღებული შემოსავალი.

88. გარდა ამისა, „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა 2011 წლის 18 აპრილსა და 2012 წლის 20 აპრილს გამოსცა ორი ახალი ბრძანება nos. 1-1 / 611 და 1-1 /

1025, რომელიც ადგენდა რეგულირების საფასურების დეტალურ განაკვეთებს სპეციფიკური ბუნების, სხვადასხვა სავალდებულო სამეწარმეო საქმიანობისთვის და რომელიც პირდაპირ უნდა გადახდილიყო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის მისი მარეგულირებელი საქმიანობის სანაცვლოდ. ეს განაკვეთები კვლავ გამოიყენება.

სამართალი

I. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის სავარაუდო დარღვევა

89. აპლიკანტი დავობდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფიდან გამომდინარე, რომ მისი პატიმრობა 2004 წლის 16 სექტემბრიდან - იმ დროს, როცა გავიდა წინასწარი პატიმრობის 5 თვიანი ვადა, 2005 წლის 16 მარტამდე - სასამართლოში წარდგენის დრო, უკანონო იყო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კონვენციის შესაბამისი მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„1. ... არავის შეიძლება აღეკვეთოს თავსუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

(გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი...;“

90. მთავრობამ განაცხადა, რომ არ არსებობდა სასამართლოს მხრიდან იმის საჭიროება, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის 5 თვიანი ამოწურული ვადა გაეგრძელებინა 2005 წლის 16 სექტემბრიდან, რადგან იმ დროს, საქმის გამოძიება უკვე შეწყვეტილი იყო და რამდენიმე დღის შემდეგ, 2005 წლის 20 სექტემბერს, საქმე განსახილველად გადაეცა პირველი ინსტანციის სასამართლოს. მთავრობამ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) შესაბამისი დებულებების მიხედვით, საქმის სასამართლოსთვის გადაცემის ფაქტი საკმარისი იყო პატიმრობის „სასამართლო ზედამხედველობის“ ქვეშ მოსაქცევად და ამგვარად, შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფს.

91. აპლიკანტმა განაცხადა, რომ მისი პატიმრობა 2004 წლის 16 სექტემბრიდან 2005 წლის 16 მარტამდე უკანონო იყო, რადგან მას საფუძვლად არ ედო იურიდიული ძალის მქონე სასამართლო გადაწყვეტილება.

ა) დასაშვებობა

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის (ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. სასამართლო ასევე დასძენს, რომ განაცხადი არ არის

დაუშვებელი სხვა რაიმე საფუძვლების გამოც. აქედან გამომდინარე, საჩივარი დაშვებულად უნდა გამოცხადდეს.

ბ) არსებითი მხარე

93. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა რიგ შემთხვევებში, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ არსებულ საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა ბრალდებულთა წინასწარ პატიმრობაში ყოფნას მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ საბრალდებო დასკვნა უკვე წარდგენილი იყო სასამართლოში.

ბრალდებულების დაკავება კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების ან მათი მდგომარეობის მარეგულირებელი ცხადი წესების გარეშე - იმ შედეგით, რომ მათ შეიძლება თავისუფლება აღეკვეთოთ განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში სასამართლო ნებართვის გარეშე - შეუთავსებელია სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თვითნებობისგან დაცვის პრინციპებთან, რომლებიც კონვენციისა და კანონის უზენაესობის საერთო საფრთხედ მიიჩნევა (იხ., ბევრ სხვა საქმეებს შორის: *Khudoyorov v. Russia*, no. [6847/02](#), § 146-147, ECHR 2005-X (ამონარიდები); *Baranowski v. Poland*, no. [28358/95](#), §§ 53-58, ECHR 2000-III; *Ječius v. Lithuania*, no. [34578/97](#), §§ 60-64, ECHR 2000-IX; *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*, no. [1704/06](#), § 106-111, 27 January 2009; and *Gigolashvili v. Georgia*, no. [18145/05](#), §§ 32-36, 8 July 2008).

94. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ განსხვავდება ზემოთ აღნიშნული საქმეებისგან: რამიშვილი და კობხეიძე საქართველოს წინააღმდეგ და გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში იმ დროისათვის არსებული იდენტური ხარვეზების გათვალისწინებით.

95. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის (სსსკ) 417-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების მიხედვით, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება და სისხლის სამართლის საქმის მასალები გადასცა შესაბამის განსჯად სასამართლოს, ამ უკანასკნელს შეეძლო გაემართა სხდომა დასაშვებობის შესახებ და გადაეწყვიტა ბრალდებულის სასამართლოსთვის გადაცემა და აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების აუცილებლობის საკითხი. თუმცა, პრობლემა წარმოიშვა ასეთი სხდომის გამართვის დროსთან დაკავშირებით. სსსკ-ის 419-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის საკითხზე სხდომა უნდა გამართულიყო თოთხმეტი დღის განმავლობაში ან „რთული საქმეების“ შემთხვევაში, იმავე მოსამართლის მიერ სხვა

სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოსამართლე ასეთი „საბოლოო“ საქმის გადაწყვეტისას არ იყო შეზღუდული ვადებით. სსსკ-ით განსაზღვრული არ იყო არც ბრალდებულის პატიმრობის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაცემის დრო და არც შეფარდებული პატიმრობის ნორმატიული ვადები. ამგვარი საკანონმდებლო ვაკუუმი იწვევდა თვეების განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ბრალდებულთა წინასწარ პატიმრობას (აგრეთვე, იხ., *Absandze v. Georgia* (dec.), no. 57861/00, 20 July 2004; და ზემოთ აღნიშნული საქმე: *Ramishvili and Kokhreidze*, §§ 108-109).

96. აქედან გამომდინარეობს, რომ ექვსი თვის განმავლობაში - 2004 წლის 16 სექტემბრიდან 2005 წლის 16 მარტამდე, არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აპლიკანტის პატიმრობის საფუძველს წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმე და საბრალდებო დასკვნა გადაეგზავნა სასამართლოს არ აკმაყოფილებდა პატიმრობის დარჩენილი პერიოდის „კანონიერების“ მოთხოვნებს, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში (იხ., ზემოთ აღნიშნული საქმე: *Gigolashvili*, §36, და *Nakhmanovich v. Russia*, no. 55669/00, § 68, 2 March 2006).

97. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი პატიმრობის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის სავარაუდო დარღვევა

98. მომჩივანი დავობდა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფიდან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად არ დაასაბუთეს აპლიკანტის სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდების გადაწყვეტილებები. კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 6

„1. ... სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ.“

99. მთავრობამ განაცხადა, რომ სასამართლოებმა სრულყოფილად შეისწავლეს საქმე, აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ყველა უმნიშვნელოვანესი მტკიცებულების მხედველობაში მიღებით, მათ შორის 2004 წლის 20 ივლისის აუდიტის ანგარიშის

ჩათვლით. საქმის განხილვა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით განხორციელდა, რომლის დროსაც მხარეთა თანასწორობის პრინციპი ჯეროვნად იქნა უზრუნველყოფილი. მხარეთა სამართლებრივი და ფაქტობრივი წარდგინებები ყურადღებით იქნა გამოკვლეული სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

100. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ აშკარად არ არსებობდა მისი ბრალეულობის დამადასტურებელი ჯეროვნად დასაბუთებული შიდა გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეაფასეს ის ფაქტი, რომ სამოქალაქო ავიაციის სფეროში მომუშავე სხვადასხვა კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმებით, მომჩივანი მხოლოდ იცავდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2003 წლის 10 იანვარს გამოტანილ გადაწყვეტილებაში ასახულ მითითებებს. სასამართლოებს არც ის ფაქტი გაუთვალისწინებიათ, რომ მან სადავო N1 ბრძანება გამოსცა პრეზიდენტის 2003 წლის 25 ივლისის N364 ბრძანებულების საფუძველზე. თანაბრად პრობლემატური იყო ის საკითხიც, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში არ განმარტეს, თუ, რატომ გამართლდა მომჩივანი თოთხმეტ საავიაციო კომპანიასთან დადებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში და რატომ გამტყუნდა დანარჩენ საწარმოებთან არსებული გარიგებების გამო მაშინ, როცა გამართლებას და გამტყუნებას საფუძველად იდენტური ფაქტობრივი გარემოებები ედო.

ა. დასაშვებობა

101. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. იგი ასევე აღნიშნავს, რომ განაცხადი არ არის დაუშვებელი სხვა რაიმე საფუძველითაც. შესაბამისად, იგი უნდა გამოცხადდეს დაშვებულად.

ბ) არსებითი მხარე

102. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ფუნქცია არ არის ეროვნული სასამართლოების მიერ სავარაუდოდ დაშვებულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ შეცდომებზე რეაგირება (იხ., *Tejedor García v. Spain*, 16 December 1997, §31, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებული 1997 - VIII; და *Buzescu v. Romania*, no.61302/00, §63, 24 May 2005), სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, რომელიც ასახავს მართლმსაჯულების

სათანადოდ აღსრულების პრინციპს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ფარგლებში, სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებებმა ადეკვატურად უნდა განსაზღვრონ ის საფუძვლები, რომელთაც მათი გადაწყვეტილებები ეყრდნობა და რომელიც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მიკერძოების გამოვლენის შემთხვევაში, რათა პროცესზე უზრუნველყოფილი იყოს მხარეების სათანადოდ მოსმენა და მართლმსაჯულებისადმი საზოგადოებრივი კონტროლი (იხ., *Taxquet v. Belgium* [GC], no.926/05, §91, ECHR 2010; *Salov v. Ukraine*, no.65518/01, §§89-92, ECHR 2005-VIII (ამონარიდები), *Jgarkava v. Georgia*, no.7932/03, §71, 24 February 2009; და *Hirvisaari v. Finland*, no.49684/99, §30, 27 September 2001).

103. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მხარეთა მიერ დასმულ ნებისმიერ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის ვალდებულება. ამასთან, საკითხი - შეასრულა თუ არა სასამართლომ მასზე დაკისრებული მოვალეობა საფუძვლების მითითების შესახებ, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე (იხ., *Ruiz Torija v. Spain*, 9 December 1994, §29, Series A no. 303-A, *Suominen v. Finland*, no.[37801/97](#), §36, 1 July 2003; და *Boldea v. Romania*, no.[19997/02](#), §30, 15 February 2007). თუმცა, ეროვნულ სასამართლოს აქვს შეფასების გარკვეული ფარგლები, კონკრეტულ შემთხვევაში, არგუმენტების შერჩევისა და მხარეთა განაცხადების შესაბამისი მტკიცებულებების დაშვებისას, დაზარალებულ მხარეს აქვს მოლოდინი სასამართლოსგან მიიღოს კონკრეტული და ცხადი პასუხი იმ წარდგინებების შესახებ, რომელიც გადამწყვეტია მოცემული სამართალწარმოების შედეგისთვის (იხ., *Hiro Balani v. Spain*, 9 December 1994, §§ 27-28, Series A no. 303-B; *Grădinar v. Moldova*, no.[7170/02](#), §§ 107-108, 8 April 2008; და *Gheorghe v. Romania*, no. [19215/04](#), §43, 15 March 2007).

104. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი მსჯავრდებულ იქნა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო იმ ორი კონკრეტული ქმედების საფუძველზე, რომელიც მან - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის რანგში განახორციელა: (i) აპლიკანტის მიერ სამოქალაქო ავიაციის სამ კომპანიასთან 2003 წლის 28 მარტსა და 13 აგვისტოს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები მომსახურების საფასურის შეგროვების მიზნით, რომელიც სინამდვილეში რეგულირების საფასურს წარმოადგენდა 2003 წლის 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში, და (ii) ის ფაქტი, რომ იმავე რეგულირების საფასურს

იღებდა რვა სხვა სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისგან, აპლიკანტის მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს უკანონოდ გამოცემული N1 ბრძანების საფუძველზე.

105. პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ კომპანიებისგან მომსახურების საფასურის შეგროვება 2003 წლის 28 მარტისა და 13 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე - ეროვნულმა ორგანოებმა ბრალი დასდეს განმცხადებელს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება სავარაუდოდ უკრძალავდა შესაბამის ორგანოებს ნებისმიერი საფასურის დაწესებას სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისთვის. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველების გათვალისწინებით, გადაჭრით არ შეიძლებოდა იმის დასკვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ აშკარად აუკრძალა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მომსახურების ხელშეკრულებების დადება სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან. უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ბათილად ცნო კანონით გათვალისწინებული ნორმატიული ვალდებულება გადახდილიყო „ყოველწლიური რეგულირების საფასური სატრანსპორტო საქმიანობისთვის“. თუმცა, იმავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ის აზრი, რომელიც დაკავშირებული იყო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს არგუმენტთან, რომ მისი სავარაუდო ფუნქციონირება განპირობებული იყო მომსახურების საფასურის შემოსავლებთან და სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან მომსახურების კონტრაქტების გაფორმებასთან. საპირისპიროდ, აღნიშნული გარემოება გამართლებული იყო კონსტიტუციური თვალსაზრისით სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისთვის, დაემყარებინათ თავისუფალი სახელშეკრულებო ურთიერთობები. ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი კომპანიები სახელშეკრულებო ვალდებულებას იღებდნენ გადაეხადათ მომსახურების საფასური სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის დ) პუნქტის თანახმად (ზემოთ, იხ., პარაგრაფები 11-12 და 60). ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუგებარია, თბილისის საქალაქო სასამართლომ, განმცხადებლის მიერ სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმების გამო მსჯავრდებისას, რატომ არ გასცა დასაბუთებული პასუხი განმცხადებლის ძირითად არგუმენტს, რომ იგი უბრალოდ დაემორჩილა საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებას - ასეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლასთან დაკავშირებით (ზემოთ, შეადარეთ პარაგრაფები 43 და 47). შემდგომი მნიშვნელობის იყო აუდიტის

2004 წლის 20 ივლისის დასკვნა. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩატარებულ საგამომიებო ღონისძიებას, რომლის საფუძველზეც, აპლიკანტის, როგორც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ ინიცირებული და დადებული სადავო ხელშეკრულებები აშკარად შეესაბამებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებას (ზემოთ, იხ., პარაგრაფი 22-26). სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი ხელშეკრულებებიდან ერთი მაინც - 2003 წლის 13 აგვისტოს გარიგება ეფუძნებოდა დამატებით სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, პრეზიდენტის 2003 წლის 25 ივლისის N354 ბრძანებულებას. წინამდებარე ბრძანებულება ცალსახად ადგენდა, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უფლებამოსილი იყო დაეწესებინა რეგულირების მომსახურების საფასური სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისთვის, კერძო ხელშეკრულებების საფუძველზე. ამ მხრივ საყურადღებო იყო ის, რომ ბრძანებულება თავის პრეამბულაში თავისთავად ხაზს უსვამდა, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ასეთი რეჟიმის დაცვა „შეესაბამებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებას“ (ზემოთ, იხ., პარაგრაფი 82).

106. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, რომელსაც განმცხადებლის მსჯავრდება ეფუძნებოდა - რეგულირების საფასურის დაწესება 2003 წლის 1 ოქტომბრიდან 2004 წლის 16 მარტამდე, 2003 წლის 25 ნოემბრის N1 ბრძანების საფუძველზე - ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებლის ქმედება უკანონო იყო რეგულირების საფასურის ცალმხრივად დადგენის თაობაზე მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებამ ძირეული ცვლილებები შეიტანა რეგულირების აქტში და ამოიღო ყველა მითითება „სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასურის“ შესახებ. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეაფასეს ის უდავო ფაქტი, რომ N1 ბრძანება ეფუძნებოდა სახელმწიფო რეგულირების აქტის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილს, რომელიც წარმოადგენდა 2003 წლის 14 აგვისტოს ცვლილებების შედეგად წარმოშობილ გარდამავალ დებულებას. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე გარდამავალი დებულებით სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, როგორც ტრანსპორტის მარეგულირებელი ორგანო, უფლებამოსილი იყო თავად დაეწესებინა რეგულირების საფასური, ელოდა რა აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის მიერ ახალი კანონის მიღებას. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი კანონით რეგულირების საფასურის განაკვეთები დადგინდა საკმაოდ გვიან, კერძოდ - 2004 წლის 30 ივნისიდან (ზემოთ, იხ., პარაგრაფი 83), ძნელია იმის აღქმა, თუ, რატომ იყო განმცხადებლის, როგორც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს გამოცემული N1 ბრძანებით წინამდებარე საკითხის

დარეგულირება არამართლზომიერი, ზემოთ აღნიშნული აქტის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად. გარდა ამისა, თუ მომჩივნის მიერ გამოცემული, 2003 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი N1 ბრძანება იყო აშკარად უკანონო, მაშინდელი იუსტიციის სამინისტრო, რომელიც კურირებდა სხვადასხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის კანონიერებას, ვალდებული იყო გამოემკარავებინა ბრძანების ყველა ძირითადი სამართლებრივი ხარვეზი. გარდა ამისა, აუდიტის 2004 წლის 20 ივლისის დასკვნით, რომელიც საქმეში არსებული ერთადერთი სასამართლო მტკიცებულება იყო (ზემოთ, იხ., პარაგრაფები 22, 24 და 42), კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ განმცხადებელი ნამდვილად მოქმედებდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, N1 ბრძანების გამოცემის მომენტში (აგრეთვე, ზემოთ, იხ., პარაგრაფები 80 და 81).

107. სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების დაზუსტება აუცილებელი იყო წინამდებარე ორივე ეპიზოდში მომჩივნის ბრალეულობის დადგენის მიზნით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა სათანადოდ გააჟღერა ყველა შესაბამისი არგუმენტი შიდა ორგანოების წინაშე (ზემოთ, იხ., პარაგრაფები 28, 30, 43-44, 50 და 52), ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში ცხადად არ მიანიჭეს მათ რაიმე მნიშვნელობა. მართლაც, არამართლზომიერია ის გარემოებები, რომ არც ერთმა სასამართლო ინსტანციამ თავიანთ გადაწყვეტილებებში არ განიხილა აპლიკანტის ქმედებების ურთიერთკავშირი, რაც ნათქვამი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებაში და რასაც შესაბამისი შემდგომი ნორმატიული კანონმდებლობა ადგენდა.

108. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საფუძვლიანი მნიშვნელობა არ მიანიჭეს მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გადამწყვეტ გარემოებებს. ამ ასპექტებს შეეძლო გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა განმცხადებლის ბრალეულობის განსაზღვრაში (შეადარეთ, ზემოთ აღნიშნულ საქმეებს: *Salov*, §92, *Grădinar* §§114, 115; და *Gheorghe* §50). სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო განმცხადებლის მსჯავრდების შედეგობრივი შეუსაბამობა ნაკლებად დამაჯერებელს ხდიდა მას ისეთი ობიექტური სამართლებრივი დამკვირვებლისთვის, როგორც სასამართლოა. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა განმცხადებლის ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან დანაშაულის ელემენტების დადგენას, არამედ იმ საკითხებს, რომლებიც ექსკლუზიურად ეროვნული სასამართლოების

განსჯადი იყო. ამის საპირისპიროდ, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში საკმარისი საფუძვლების არარსებობით გამოწვეული მდგომარეობა დაკავშირებული იყო სასამართლოს გაცეხასთან, თუ რატომ იყო განმცხადებლის მოქმედებები - მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე საფასურის შეგროვება და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტი - მიჩნეული, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. სხვაგვარად, არ შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელი სარგებლობდა სამართლიანი სასამართლო განხილვით იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა - კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით დასჯადი ქმედების: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფარგლები - იყო გაუგებარი და შესაბამისად აპლიკანტის საზიანოდ, თვითნებურად განმარტებული ეროვნული სასამართლოების მიერ.

109. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

III. კონვენციის მე-18 მუხლის მე-5 მუხლთან ერთობლიობაში სავარაუდო დარღვევა

110. კონვენციის მე-18 მუხლის მე-5 მუხლთან ერთობლიობაში მითითებით, აპლიკანტი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართალწარმოება და მისი შემდგომი წინასწარი პატიმრობა იყო ფარული და შეურაცხმყოფელი მოტივებით განპირობებული. წინამდებარე მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 18

„ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.“

111. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა დაკისრებული ჰქონდა სისხლის სამართალწარმოების მკაცრად განსაზღვრული მიზნებისთვის, რომელიც დაწყებული იყო მის წინააღმდეგ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო, რაც კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებულ საგამონაკლისო ფარგლებში ექცეოდა. გარდა წმინდა სამართალდამცავი მოსაზრებებისა, არ ყოფილა სხვა „ფარული დღის წესრიგი“ შესაბამისი ეროვნული ორგანოების ქმედებებში სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს.

112. აპლიკანტმა განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დაწყება და წინასწარი პატიმრობის შეფარდება პირდაპირი შედეგი იყო ბ-ნი სააკაშვილის მიერ მკაფიო და კონკრეტული საჯარო მუქარისა, რომელიც 2003 წლის დეკემბრის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს მის წინააღმდეგ იყო

მიმართული (ზემოთ, იხ., პარაგრაფი 55). მართლაც, როგორც კი ბ-ნი სააკაშვილი არჩეული იქნა საქართველოს პრეზიდენტად 2004 წლის იანვარში, „განმცხადებლის დაპატიმრების“ მუქარამ განხორციელება დაიწყო.

ა) დასაშვებობა

113. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-18 მუხლს არ აქვს ავტონომიური როლი. იგი შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ სხვა მუხლებთან ერთად (იხ., *Gusinskiy v. Russia*, no. 70276/01, § 75, ECHR 2004-IV). სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მთელი არსი ეყრდნობა იმ საერთო მოსაზრებას, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები კეთილსინდისიერად იმოქმედებენ. მართლაც, ნებისმიერ საზოგადოებრივ პოლიტიკას ან ინდივიდუალურ ღონისძიებას შეიძლება ჰქონდეს „ფარული დღის წესრიგი“, რითაც კეთილსინდისიერების პრეზუმფცია უარყოფილია თეორიაში. თუმცა, ძნელია, ამ ვარაუდის გადალახვა პრაქტიკაში. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი უფლებებისა და თავისუფლებების არასათანადო მიზეზით შეზღუდვა ცხადად აჩვენებდა, რომ ხელისუფლების რეალური მიზანი არ იყო გაცხადებულის შესაბამისი ან კონტექსტიდან გონივრულად გამომდინარე. უბრალო ეჭვი, რომ ხელისუფლება ძალაუფლებას იყენებდა კონვენციით განსაზღვრული მიზნისგან განსხვავებულად არ იყო საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ მე-18 მუხლი დაირღვა (იხ., *Khodorkovskiy v. Russia*, no. 5829/04, §255, 31 May 2011). როდესაც საჩივარი კონვენციის მე-18 მუხლს ეყრდნობა, სასამართლო მიმართავს ძალიან მკაცრ მტკიცების სტანდარტს. შესაბამისად, სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში დააკმაყოფილა მოთხოვნა, როცა ისეთი სტანდარტი არსებობდა, როგორც იყო საქმეში: *Gusinskiy v. Russia* (ზემოთ აღნიშნული, §§ 73-78); *Cebotari v. Moldova* (no. 35615/06, §§ 46 et seq., 13 November 2007); ან *Lutsenko v. Ukraine*, (no. 6492/11, § 108, 3 July 2012). საპირისპირო მაგალითისთვის, იხილეთ *Sisojeva and Others v. Latvia* (ამორიცხულია საქმეთა ნუსხიდან) ([GC], no. 60654/00, §129, ECHR 2007-I).

114. სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც საქმე ეხება პოლიტიკური ან სხვა ფარული მოტივებით წარმართული სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ ბრალდებებს, რთულია წინასწარი პატიმრობის სისხლის სამართალწარმოებისგან განცალკევება, რომლის ფარგლებშიც შეეფარდება აღნიშნული პატიმრობა (იხ., ზემოთ აღნიშნული საქმე: *Lutsenko*, §108). მოცემულ საქმეში, განმცხადებლის ერთადერთი არგუმენტი, რომელიც მის წინააღმდეგ უკანონოდ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შესახებ ბრალდებას ამყარებდა იყო საპრეზიდენტო

კანდიდატის - ბ-ნი სააკაშვილის საჯარო განცხადებების მოხმობა. სასამართლო აღიარებს წინამდებარე საჯარო განცხადებების შეუსაბამობას, რომელიც შეიძლებოდა იოლად აღქმულიყო, როგორც საფრთხე აპლიკანტისთვის (ზემოთ, იხ., პარაგრაფი 55). თუმცა, სხვა დამატებითი მტკიცებულებების, არგუმენტების ან მკაცრი მტკიცების სტანდარტის გამოყენების არარსებობის გამო კვლავ შეუძლებელი იყო იმის დასკვნა, რომ აპლიკანტის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დაწყება აუცილებლად დაკავშირებული იყო ბ-ნი სააკაშვილის მიერ გახმოვანებულ მუქარასთან ან ეს უკანასკნელი უკანონოდ ზეგავლენას ახდენდა სისხლის სამართლის საქმის გახსნაზე მას შემდეგ, რაც იგი პრეზიდენტი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ფარული უკანონო დღის წესრიგის სადავო ეჭვი არსებობდა, იგი არ იყო საკმარისი სასამართლოსთვის იმის დასადგენად, რომ მოცემულ საქმეში მოპასუხე სახელმწიფოს მთელი სამართლებრივი მანქანა არ იყო დამოუკიდებელი და არასწორად იქნა გამოყენებული, განიცდიდა რა პრეზიდენტის ab initio ზეწოლას; ან სისხლის სამართლის საქმის განხილვის განმავლობაში, დევნის და მართლმსაჯულების ორგანოები მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად და კონვენციის აშკარა უგულებელყოფით (შეადარეთ ზემოთ აღნიშნული საქმე: Khodorkovskiy, §260). წინამდებარე საქმეში არ იყო ისეთი გარემოება, რის საფუძველზეც შეიძლებოდა სასამართლოს ევარაუდა, რომ პროკურატურის ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოები ოფიციალური ან არაოფიციალური არხების მეშვეობით მოქმედებდნენ რაიმე ფარული ზრახვებით, რომელიც შეუთავსებელი იქნებოდა განმცხადებლის თავისუფლების შეზღუდვის მიზნებთან, კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე (ამის საპირისპიროდ, ზემოთ, იხ., აღნიშნული საქმეები: Lutsenko, §§ 108-109; Gusinskiy §§ 73-78; და Tymoshenko v. Ukraine, no. 49872/11, §299, 30 April 2013).

115. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის მე-5 და მე-18 მუხლებიდან გამომდინარე განმცხადებლის ერთობლივი საჩივრის დასასაბუთებლად მტკიცებულების შეზღუდვით, რომელიც ეყრდნობოდა ქვეყნის მაშინდელი საპრეზიდენტო კანდიდატისგან მის წინააღმდეგ არსებულ მუქარას, მომჩივანმა ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის განხორციელება.

116. შესაბამისად, განაცხადის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ა) ქვეპუნქტისა და მე-4 პარაგრაფის მიხედვით.

IV. კონვენციის სხვა შესაძლო დარღვევები

ა. ეროვნული სასამართლოების 2004 წლის 19 და 25 მარტის, ასევე 14 ივნისის განჩინებების წინააღმდეგ მიმართული საჩივრები

117. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ და მე-3 პარაგრაფებზე და მე-13 მუხლზე მითითებით, აპლიკანტი დავობდა სასამართლოს 2004 წლის 19 და 25 მარტის, ასევე 14 ივნისის განჩინებების თაობაზე, რომლითაც მას შეეფარდა და გაუხანგრძლივდა წინასწარი პატიმრობა. კერძოდ, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ წინამდებარე განჩინებები იყო უკანონო ან/და დაუსაბუთებელი, რადგან არ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და რომ სადავო განჩინებები არ იყო საკმარისად და სათანადოდ დასაბუთებული.

118. მთავრობა დავობდა, რომ აპლიკანტის საჩივარი - მის მიერ ჩადენილი დანაშაულის: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ, უსაფუძვლო ბრალდების გამო - იყო აშკარად დაუსაბუთებელი, რადგან გამოძიების ადრეულ ეტაპზე მოგროვებული მტკიცებულებები საკმარისი იყო ეროვნული სასამართლოებისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ მომჩივანი წინასწარ პატიმრობაში ჰყოლოდათ. მთავრობა ასევე აცხადებდა, რომ წინამდებარე სასამართლო განჩინებები სათანადოდ იყო დასაბუთებული.

119. სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის ზემოთ აღნიშნული საჩივრები კონვენციის მე-5 მუხლის სხვადასხვა დებულებების მიხედვით, მიზნად ისახავდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 მარტის განჩინების და თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 25 მარტის და 14 ივნისის განჩინებების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გასაჩივრებას.

120. ზემოთ აღნიშნული სასამართლოს სამი განჩინებიდან, პირველი ორი - 2004 წლის 19 და 25 მარტის განჩინება - წარმოადგენდა ერთი და იმავე habeas corpus პროცედურის ორი ინსტანციის აქტს, რომელიც ეხებოდა აპლიკანტის წინასწარი პატიმრობის საწყის პერიოდს; რაც შეეხება მესამე საბოლოო განჩინებას, იგი გამოტანილ იქნა უმაღლესი ინსტანციის მიერ (შეადარეთ საქმეს: *Saghinadze and Others v. Georgia*, no. 18768/05, § 136, 27 May 2010). თუმცა, წინამდებარე განაცხადი შეტანილ იქნა 2005 წლის 12 მარტს, მას შემდეგ, რაც 6 თვეზე მეტი დრო გავიდა ეროვნული სასამართლოს 2004 წლის 25 მარტის საბოლოო განჩინებიდან სადავო habeas corpus პროცედურის შესახებ (იხ., მსგავს გარემოებაში ანალოგიური დასკვნის შესახებ, *Davtian v. Georgia* (dec.), no. 73241/01, ECHR 6 September 2005; *Ghvaladze v. Georgia* (dec.), no. 42047/06, 11 September 2007; და *Panjikidze and Others v. Georgia* (dec.), 73241/01, 20 June 2006).

121. რაც შეეხება თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 14 ივნისის განჩინებას, რომლითაც გახანგრძლივდა აპლიკანტის წინასწარი პატიმრობის ვადა, იგი შემდგომ აღარ გასაჩივრებულა იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად, აღნიშნული განჩინება საბოლოო იყო კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნებისთვის (შეადარეთ მსგავს გარემოებას საქმეში: Aliev v. Georgia, no. 522/04, §§ 111 და 112, 13 January 2009). შესაბამისად, აპლიკანტის 2005 წლის 12 მარტის საჩივარი ამ კონკრეტულ განჩინებასთან დაკავშირებით, ასევე დაგვიანებულია (აგრეთვე, იხ., ზემოთ აღნიშნული საქმე: Panjikidze and Others).

122. აქედან გამომდინარე, განაცხადის შესაბამისი ნაწილი ვადის გასვლის შემდეგ იქნა წარდგენილი და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად.

ბ. საჩივარი 2004 წლის 16 სექტემბერსა და 2005 წლის 16 მარტს შორის პერიოდში აპლიკანტის უკანონო პატიმრობის გასაჩივრების შეუძლებლობის შესახებ

123. გარდა ამისა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით, განმცხადებელი დავობდა, რომ 2004 წლის 16 სექტემბერს დაწყებული გახანგრძლივებული პატიმრობის შესახებ 2005 წლის 1 თებერვლის საჩივარი, არ განხილულა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2005 წლის 16 მარტს, როცა ამ უკანასკნელმა ინსტანციამ სამართალში მისცა იგი.

124. მხარეებმა განაცხადეს ანალოგიური არგუმენტები, რომლებიც აღნიშნეს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით წარდგენილ საჩივარში, აპლიკანტის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით 2004 წლის 16 სექტემბრიდან 2005 წლის 16 მარტამდე პერიოდში (ზემოთ, იხ., პარაგრაფები 90 და 91).

125. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან უკვე განახორციელა საკითხის ყოვლისმომცველი გამოკვლევა აპლიკანტის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით 2014 წლის 16 სექტემბრიდან 2005 წლის 16 მარტამდე პერიოდში. სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა გამოწვეული იყო იმ დროს კარგად დამკვიდრებულ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზებით, რომელიც სტრუქტურულ პრობლემას წარმოადგენდა შესაძლო გადაწყვეტის არარსებობის პირობებში. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფიდან გამომდინარე წარდგენილი საჩივარი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პარაგრაფის საფუძველზე უკვე განხილულ საჩივართან, ასევე უნდა

გამოცხადდეს დასაშვებად. თუმცა, საქმის არსებითი მხარის შესახებ წინა ყოვლისმომცველი დასკვნების ფონზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მსგავსი სტრუქტურული პრობლემის დამატებითი, ცალკე განხილვის საჭიროება, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფიდან გამომდინარე (შეადარეთ, ზემოთ აღნიშნულ საქმეს: Gigolashvili, §§ 14, 15 და 30-37).

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

126. კონვენციის 41-ე მუხლი განსაზღვრავს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკამყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

127. აპლიკანტი ითხოვდა 142,600 ლარის (დაახლოებით 120,000 ევრო) ანაზღაურებას მატერიალური ზიანის სახით. მან განმარტა, რომ აღნიშნული თანხა უზრუნველყოფდა მოცემულ დროს ყოველთვიური ხელფასის - 2,300 ლარის (დაახლოებით 1,100 ევრო) ანაზღაურებას და რომელსაც იგი მიიღებდა, თუ იძულებული არ იქნებოდა გადამდგარიყო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობიდან მის წინააღმდეგ დაწყებული უკანონო სისხლის სამართალწარმოების შემდეგ.

128. აპლიკანტი, ასევე, ითხოვდა 500,000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. მომჩივანმა განაცხადა, რომ განიცადა მძიმე სტრესი, რომელსაც ნეგატიური გავლენა ჰქონდა მის ჯანმრთელობაზე, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფითა და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შედეგად.

129. მთავრობამ განაცხადა, რომ მატერიალური კომპენსაციის შესახებ მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო, რადგან არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი პრეტენზიასა და სადავო დარღვევებს შორის. მთავრობა აცხადებდა, რომ მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაჭარბებული იყო.

130. სასამართლომ ვერ დაინახა მიზეზობრივი კავშირი დადგენილ დარღვევასა და მოთხოვნილ მატერიალურ ანაზღაურებას შორის. მართლაც, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ როგორ და რამდენ ხანს შეინარჩუნებდა მომჩივანი საკუთარ სამსახურს, თუ მის წინააღმდეგ არ დაიწყებოდა სისხლის სამართალწარმოება

(შეადარეთ, ასევე, საქმეს: Georgian Labour Party v. Georgia, no. 9103/04, §148-151, ECHR 2008).

131. მეორე მხრივ, სასამართლოსთვის უდავო იყო, რომ აპლიკანტი განიცდიდა სტრესს და იმედგაცრუებას კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფითა და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული უფლებების დარღვევების შედეგად. განცდილი მორალური ზიანი ადეკვატურად არ ანაზღაურდებოდა დარღვევების უბრალო დადგენით. სასამართლო, შეაფასა რა სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე საქმის კონკრეტული გარემოებები, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ განმცხადებელს უნდა აუნაზღაურდეს 20,000 ევრო ამ თავის მიხედვით.

ბ. ხარჯები და დანახარჯები

132. განმცხადებელი მოითხოვდა 28.200 და 11.760 აშშ დოლარის (USD) (დაახლოებით 25.415 და 10,600 ევრო) ანაზღაურებას, ეროვნული სასამართლოების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე გაწეული იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯებისთვის. მოთხოვნის დასასაბუთებლად, აპლიკანტმა წარმოადგინა მისი წარმომადგენლების მიერ გაცემული 2008 წლის 19 მარტისა და 2009 წლის 7 მაისის ორი ანგარიში. წინამდებარე დოკუმენტები განსაზღვრავდნენ ადვოკატების მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების საათობრივ რაოდენობას და მათ საათობრივ განაკვეთებს. პირველი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ მან იმუშავა 188 საათი - 150 აშშ დოლარის (135 ევრო) ოდენობით საათში, ხოლო მეორე აცხადებდა, რომ მან იმუშავა 98 საათი - 120 აშშ დოლარის (108 ევრო) ოდენობით საათში. წარდგენილი დოკუმენტებიდან ცხადი არ იყო, რომ ორი ადვოკატის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა რეალურად იქნა გადახდილი განმცხადებლის მიერ.

133. მთავრობამ განაცხადა, რომ აპლიკანტის მიერ ორი იურისტისგან უდავოდ მიღებული იურიდიული წარმომადგენლობისთვის გაწეული ხარჯები გადაჭარბებული იყო.

134. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების უფლება მხოლოდ მაშინ ექნება განმცხადებელს, თუ მან რეალურად და საჭიროებისამებრ განიცადა ზიანი. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ ადგენს, რომ ნებისმიერი დამატებითი ფინანსური დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, რომლებიც დაადასტურებდნენ შესაბამისი ფინანსური გარიგების რეალურად დადებას, მხოლოდ ადვოკატების მიერ გაცემული უბრალო ანგარიშები ვერ იქნებოდა მტკიცებულება, რომ მოთხოვნილი ხარჯები და დანახარჯები „რეალურად და

აუცილებლად“ გაწეული იყო განმცხადებლების მიერ (იხ., ზემოთ აღნიშნული საქმეები: *Georgian Labour Party*, cited above, §161 and 164; *Dadiani and Machabeli v. Georgia*, no. [8252/08](#), §65, 12 June 2012; *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, 13 July 1995, § 77, Series A no. 316-B; და *Malama v. Greece* (სამართლიანი დაკმაყოფილება), no. [43622/98](#), §17, 18 April 2002). გარდა ამისა, სასამართლო არ არის ვალდებული გაიზიაროს შიდა სამართლებრივი საფასურის განაკვეთები და პრაქტიკა; ამდენად, სასამართლოს შეუძლია არ დაეთანხმოს ადვოკატების საათობრივ განაკვეთებს, რომელიც, როგორც იკვეთება, გადაჭარბებულია (იხ., *Assanidze v. Georgia [GC]*, no. 71503/01, §206, ECHR 2004-II).

135. მოცემულ საქმეში, ფინანსური დოკუმენტაციის არარსებობისა და ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია გაიზიაროს მომჩივნის მოთხოვნა სრულად. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, აპლიკანტს მიანიჭოს სრული თანხა 15,000 ევროს ოდენობით ეროვნული სასამართლოების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე გაწეული იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

გ) საურავი

136. სასამართლო თვლის რომ საურავი დაფუძნებული უნდა იყოს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთზე, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად,

1. დასაშვებად აცხადებს, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, 2004 წლის 16 სექტემბრისა და 2005 წლის 16 მარტის პერიოდში აპლიკანტის წინასწარი დაკავების, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების სამართლიანობისა და 2005 წლის 16 მარტს სასამართლო განხილვის საფუძველზე წარდგენილ საჩივრებს, ხოლო საჩივრის დარჩენილ ნაწილს დაუშვებლად ცნობს;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, 2004 წლის 16 სექტემბრისა და 2005 წლის 16 მარტის პერიოდში აპლიკანტის წინასწარი პატიმრობის არაკანონიერების საფუძველზე;

3. ადგენს, რომ, 2005 წლის 16 მარტის სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით, არ არსებობს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით საჩივრის განხილვის საჭიროება;

4. ადგენს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას;

5. ადგენს, რომ

ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივანს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

(i) 20, 000 ევრო (ოცი ათასი ევრო) მორალური ზიანისთვის, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

(ii) 15,000 ევრო (თხუთმეტი ათასი ევრო) გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

6. უარყოფს აპლიკანტის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს წერილობით ეცნობათ 2016 წლის 21 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მარიალენა ცირლი

ანდრამ შაიო

სექციის რეგისტრატორი

თავმჯდომარე

კონვენციის 45§2 მუხლისა და სასამართლო რეგლამენტის 74§2 მუხლის შესაბამისად, ამ სასამართლო გადაწყვეტილებას დაერთვება შემდეგი მოსაზრებები:

ა) მოსამართლე შაიოს, წოწორიასა და პინტა დე ალბუქუერქეს ერთობლივი თანმხვედრი აზრი;

ბ) მოსამართლე კურისის თანმხვედრი აზრი.

**მოსამართლე შაიოს, წოწორიასა და პინტა დე ალბუქუერქეს ერთობლივი
თანმხვედრი აზრი**

1. ტექნიკური მიზეზების გამო და პრეცედენტული სამართლის მიმართ პატივისცემის გამოხატვის ნიშნად, ჩვენ მხარი დავუჭირეთ მე-18 მუხლთან დაკავშირებული აპლიკანტის საჩივრის დაუშვებლად ცნობას. მიუხედავად ამისა, სხვა საქმეებში ბევრი ჩვენი კოლეგის მსგავსად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დროა გადაისინჯოს მე-18 მუხლის პრეცედენტული სამართლის საკმაოდ მკაცრი სტანდარტი.

2. მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებულ ჩვენს ანალიზში, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ საქმის ზოგიერთი ტექნიკური ასპექტი, რომელიც სხვა დარღვევების შესწავლისას ამკარა არ იყო.

I. საჩივრის წარდგენის ვადა (მუხლი 5)

3. აპლიკანტის თავდაპირველი დაკავებიდან 2004 წლის 16 სექტემბრამდე პატიმრობის პერიოდთან დაკავშირებული საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი, ვინაიდან მომჩივანმა საჩივარი წარადგინა პატიმრობის პერიოდიდან ექვს თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ. სასამართლოს აღარ განუხილავს დაირღვა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტი იმ საფუძველით, რომ თავდაპირველად არ არსებობდა აპლიკანტის დაკავებისა და დაპატიმრების „გონივრული ეჭვი“. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პერიოდში არსებობდა სამართალწარმოების ისეთი გაუგებარი ელემენტები, რომლებიც კითხვებს წარმოშობდა აპლიკანტის გახანგრძლივებული პატიმრობის კანონიერებასა და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებასთან მიმართებით. ჩვენ უნდა განვიხილოთ დაკავების თავდაპირველი პერიოდი, იმისათვის, რომ შევაფასოთ მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი, ვინაიდან იმ პერიოდთან დაკავშირებით შეგვიძლია განვიხილოთ, თუ რამდენად ლეგიტიმური იყო დაპატიმრების მოტივი. მე-18 მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მუხლთან ერთად მაშინაც კი, როდესაც ძირითადი მუხლი არ დარღვეულა (იხ., *Gusinskiy v.*

Russia, no. [70276/01](#), §73, ECHR 2004-IV). მე-5 მუხლის მიზნებისთვის საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ გულისხმობს იმას, რომ სასამართლომ ყურადღება არ უნდა გაამახვილოს აღნიშნული პერიოდის ფაქტებზე, როდესაც იხილავს მე-18 მუხლის დარღვევას, მთლიანად საქმის გარემოებების საფუძველზე.

II. საჩივრის შინაარსობრივი ფარგლები (საჩივრები მე-6 მუხლის მე-18 მუხლთან ერთობლიობის მიხედვით)

4. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტი დავობდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-18 მუხლთან ერთობლიობაში დარღვევის შესახებ, აღნიშნული საჩივარი არ იყო წარდგენილი სასამართლოში იმ პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, რომელიც განაცხადის სასამართლოში შესვლის დროს უნდა გამოყენებულიყო. ამ სამწუხარო ხარვეზმა სასამართლოს ხელი შეუშალა აღნიშნული საკითხის განხილვაში.

5. ჩვენ უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ მსგავსი დარღვევის არსებობის შესაძლებლობა. სასამართლომ, *Navalnyy and Frumkin* საქმეზე, არ გააგრძელა მე-18 მუხლთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის არსებითი მხარის შესწავლა, ვინაიდან დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა¹. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოს არ შეუძლია მე-18 მუხლის მე-6 მუხლთან ერთობლიობაში გამოყენება.² დადგინდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-6 მუხლი; აღნიშნული გარემოება გარკვეულ შემთხვევებში წარმოქმნის უფლების ბოროტად გამოყენების საკითხს. ბოლოს და ბოლოს, სოკრატეს სასამართლო პროცესის შემდეგ, ხელისუფლების მიერ მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო ფორმა - „პოლიტიკური მართლმსაჯულებაა“.

6. წინამდებარე საქმეში არ არსებობს რაიმე დამაჯერებელი მიზეზი, რაც მიუთითებს კეთილსინდისიერების დარღვევაზე. ჩვენ არ ვიცით რატომ არ გასცა ეროვნულმა სასამართლოებმა აპლიკანტის მიერ მოყვანილ არგუმენტებს პასუხი. ეს სიჩუმე ახსნა-

¹ *Navalnyy and Ofitserov v. Russia*, N46632/13 და 28671/14 § 117, 2016 წლის 23 თებერვალი, და *Frumkin v. Russia*, N74568/12 § 173, ECHR 2016.

² არ არსებობს ცალსახა მიზეზი, რატომ უნდა არსებობდეს შეზღუდვა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ მუხლთან ერთად შეიძლება მე-18 მუხლის გამოყენება. მე-5 და მე-6 მუხლი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და მათ მნიშვნელოვანი მსგავსება აქვთ მე-18 მუხლის მიზნებისთვის. იხ., განსხვავებული მოსაზრება საქმეზე *Navalnyy and Ofitserov v. Russia*, § 6: „კონვენციის მე-6 მუხლი, მე-5 მუხლის მსგავსად, არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, თუმცა, არცერთი მუხლი ტექსტუალურად არ ითვალისწინებს განცალკევებულ მეორე პარაგრაფში შეზღუდვის საფუძველებს, რომელთა ანალოგის ხილვა შესაძლებელია კონვენციის 8-11 მუხლებში, მიუხედავად ამისა შეზღუდვა მაინც შესაძლებელია. აქედან გამომდინარე არ არსებობს a priori მიზეზი, რატომ გამოიყენება მე-18 მუხლის მხოლოდ მე-5 მუხლთან ერთობლიობაში და არა მე-6 მუხლთან ერთად.“

განმარტებას საჭიროებს. კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევების განმაპირობებელი ხარვეზები წარმოშობენ კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არსებობდა ეს ხარვეზები. მე-18 მუხლი დასაშვებად ცნობს ამ კითხვებიდან წარმოშობილ საჩივრებს. ამდენად, მე-6 მუხლის საფუძველზე წარდგენილი მოთხოვნა განხილვას ექვემდებარება მე-18 მუხლის მიხედვით.

III. მე-18 მუხლის მტკიცების სტანდარტი

7. გარდა ტექნიკური პრობლემებისა, რამაც საკითხის ჭეშმარიტი ანალიზი პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა, ჩვენ შევეჯახეთ უფრო ფუნდამენტურ წინაღობას. დღეისათვის მე-18 მუხლის დარღვევის დადგენის მტკიცების სტანდარტი ძალიან მაღალია. ივარაუდება, რომ სახელმწიფო კეთილსინდისიერად მოქმედებს³. ეს პრეზუმფცია მოითხოვს იმაზე უფრო მაღალ მტკიცების სტანდარტს, ვიდრე „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტია, ამასთან, მტკიცების ტვირთის მეორე მხარეზე გადასვლის შეუძლებლობით, მაშინაც კი, თუ აპლიკანტი *prima facie* წარსდგა სასამართლოში. ⁴ სასამართლო მოითხოვს, რომ აპლიკანტმა „დამაჯერებლად დაამტკიცოს, რომ ხელისუფლების რეალური მიზანი არ იყო ის, რასაც ისინი აცხადებდნენ“; „უბრალო ეჭვი“ საკმარისი არ არის. ⁵ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ აღნიშნული სტანდარტის გადახედვა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა მიზეზი გვაქვს, რათა ეჭვი შევიტანოთ კონვენციის ხელშემკვრელი მხარის კეთილსინდისიერებაში, ეს პრეზუმფცია, როგორც ამჟამად არის განმარტებული, ადგენს მტკიცების ისეთ მაღალ სტანდარტს, რომ დარღვევის დადგენის დამტკიცებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის, მე-18 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიების საწინააღმდეგოდ. ⁶ სადავო პატიმრობასთან ან მსჯავრდებასთან მიმართებით, ახლანდელი სტანდარტი მომჩინისთვის პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის დაამტკიცოს საკუთარი პოზიცია. თუ სასამართლოს თავად არ შეეძლებოდა დაედგინა ეროვნული სასამართლოების გარკვეულ ქმედებათა მიზეზები, წარმოუდგენლად რთული იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ, მტკიცების სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, აღნიშნული აპლიკანტს გაეკეთებინა. იშვიათად არსებობს წერილობითი შეთანხმება, სადაც მოცემულია პატიმრობის ნამდვილი მიზეზი⁷ ან აშკარა განცხადებები იმის თაობაზე, რომ აპლიკანტი სხვა მიზეზით დააპატიმრეს.

³ *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, N11082/06 და 13772/05 § 905, 25 July 2013 წლის 25 ივლისი.

⁴ იხ. Helen Keller & Corina Heri, “Selective Criminal Proceedings and Article 18 ECHR: The European Court of Human Rights’ Untapped Potential to Protect Democracy”, Part II.

⁵ *Khodorkovskiy v. Russia*, N5829/04, § 255, 31 May 2011 წლის 31 მაისი.

⁶ იხ., Keller & Heri, *supra* note 4, ნაწილი I (B).

⁷ *Gusinskiy v. Russia*, N 70276/01, ECHR 2004-IV.

აღნიშნული სტანდარტი პრაქტიკულად შეუძლებელ მტკიცების ტვირთს აკისრებს მე-18 მუხლის დარღვევის თაობაზე საჩივრის წარმდგენ პირს.

8. მე-18 მუხლის სულისკვეთებას უფრო შეესაბამება *prima facie* სასამართლოში წარდგენის და მტკიცების ტვირთის მეორე მხარეზე გადასვლის დასაშვებად მიჩნევა. თუ აპლიკანტი *prima facie* ამტკიცებს, რომ არსებობს პატიმრობის ან მსჯავრდების გაუგებარი მიზეზები, რომელიც უხეშად არღვევს კონვენციას ან უკანონოდ და ცალსახად დაკავშირებულია პოლიტიკურ მიზნებთან ან პირად ამბიციებთან (მაგალითად, გამოძალვა), მტკიცების ტვირთი უნდა გადავიდეს მთავრობაზე, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ მათი მიზეზები ლეგიტიმური იყო. საერთაშორისო მიუკერძოებელი დამკვირვებლების პოზიციას ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

9. წინამდებარე საქმეში უნდა განგვეხილა ფაქტები და მე-18 მუხლის თანახმად შეგვეფასებინა საქმის არსებითი მხარე. თუმცა, ხელი შეგვეშალა აღნიშნულის განხორციელებაში, ვინაიდან შეზღუდულნი ვიყავით პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტით.

10. ჩვენ მოვუწოდებთ კოლეგა მოსამართლეებს პირველივე შესაძლებლობისთანავე გადახედონ აღნიშნულ საკითხს.

მოსამართლე კურისის თანმხვედრი აზრი

1. მე ჩემს კოლეგებთან ერთად მხარი დავუჭირე მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით აპლიკანტის საჩივრის დაუშვებლად ცნობას. თუმცა, ჩემი კოლეგების შაიოს, წოწორიასა და ალბუქურქეს მსგავსად, უნდა ვთქვა, რომ მაქვს სერიოზული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტი, რომლის მიხედვით საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, არის (კვლავ?) კარგი.

I

2. ორმოცზე მეტი წლის წინ, საქმეში: *Kamma v. the Netherlands* (no. 4771/71, კომისიის 1974 წლის 14 ივლისის დასკვნა), ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ მე-18 მუხლს „არ ჰქონდა ავტონომიური როლი“ და ის

„გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ სხვა მუხლებთან ერთობლიობაში“. შესაბამისად, „შესაძლებელია დაირღვეს მე-18 მუხლი სხვა მუხლთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღნიშნული მუხლი არ დარღვეულა“ (გვ. 9). მოხერხებულობისთვის, მე „სხვა“ მუხლ(ებ)ს მოვიხსენიებ როგორც „ძირითად მუხლ(ებ)ს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოხატულება სავარაუდოდ არ არის ძალიან კარგი, რადგან იგი ირიბად მიუთითებს, რომ მე-18 მუხლი ერთგვარად „ნაკლებად მნიშვნელოვანია“ ვიდრე, ვთქვათ, მე-3 ან მე-5 ან მე-6 ან მე-8 ან მე-10 ან მე-11 ან მე-13 მუხლი. მე ვემიჯნები ასეთ მიდგომას.

3. სასამართლომ გაიზიარა კომისიის ლოგიკა დათქმის გარეშე, სიტყვასიტყვით (იხ. *Oates v. Poland* (dec.), no. 35036/97, 2000 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება). შესაბამისად, სასამართლოს პრინციპულ პოზიციასთან თანხვედრაშია ის, რომ მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევა მიიჩნევა არა „ავტონომიურად“, არამედ კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების სხვა მუხლ(ებ)ის, ე.წ. „ძირითადი მუხლების“, დარღვევასთან კავშირში. აღნიშნული პოზიციის შესაბამისია პრაქტიკა, რომლის თანახმად თუ სასამართლო არ ადგენს „ძირითადი“ მუხლის დარღვევას, ასევე არ ადგენს მე-18 მუხლის დარღვევას ან საერთოდ არ განიხილავს მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის არსებით მხარეს და უარს აცხადებს მის განხილვაზე დაუსაბუთებლობის გამო.

4. შეიძლება იმ საქმეების თითებზე ჩამოთვლა, სადაც სასამართლომ მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა. ასეთი მოკრძალებული ციფრები არ ასახავს „პოლიტიკური მართლმსაჯულების“ რეალობას თავისი მრავალფეროვანი გამოვლინებებით - პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები, სისხლისსამართლებრივი დევნა, დაპატიმრებები, სასამართლო განხილვები, მსჯავრდებები, საკუთრების ჩამორთმევა და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვები. მიუხედავად ამისა, როგორც სასამართლომ დაადგინა საქმეზე *Khodorkovskiy v. Russia* (no. 5829/04, § 255, 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება):

„კონვენციის მთელი სტრუქტურა ეფუძნება საერთო მოსაზრებას, რომ წევრი სახელმწიფოების საჯარო ხელისუფლება კეთილსინდისიერად მოქმედებს“.

5. კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სახელმწიფოს მხრიდან) გულისხმობს იმას, რომ მე-18 მუხლთან დაკავშირებულ საჩივრებთან მიმართებით (განსხვავებით პრაქტიკულად ყველა სხვა მუხლებისა) *onus probandi* აპლიკანტს ეკისრება შემდეგი:

„მართლაც, ნებისმიერ საჯარო პოლიტიკას ან ინდივიდუალურ ღონისძიებას შეიძლება ჰქონდეს „ფარული დღის წესრიგი“; კეთილსინდისიერების პრეზუმფცია სადავოა. თუმცა, აპლიკანტის

მტკიცებამ, რომ მისი უფლებები და თავისუფლებები არასათანადო მიზეზით შეიზღუდა, დამაჯერებლად უნდა აჩვენოს, რომ ხელისუფლების რეალური მიზანი ის არ იყო, რასაც ისინი უთითებდნენ (ან შეიძლებოდა კონტექსტიდან გონივრულად დასკვნის გაკეთება). უბრალო ეჭვი, რომ ხელისუფლებამ გამოიყენა ძალაუფლება სხვა მიზნით, გარდა კონვენციით გათვალისწინებული მიზნებისა, არ არის საკმარისი მე-18 მუხლის დარღვევის არსებობის დასამტკიცებლად.” (იქვე)

6. პრეზუმფცია შეიძლება იყოს სუსტი და ძლიერი. მე-18 მუხლის საქმეებზე კეთილსინდისიერების პრეზუმფცია ძალიან ძლიერია. მტკიცების ტვირთი არ ეკისრება მოპასუხე სახელმწიფოს (როგორც სხვა მუხლებთან დაკავშირებულ საქმეებზე), არამედ მომჩივანს, რომელმაც იმისათვის, რომ სასამართლო დაარწმუნოს კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის არსებობაში, სასამართლოს უნდა წარუდგინოს სულ მცირე მტკიცე ან ძალიან მყარი მტკიცებულება. შესაბამისად, „სადავო პრეზუმფცია” შეიძლება გაბათილდეს მხოლოდ „უტყუარი” მტკიცებულებით და ეს მტკიცებულება მოპოვებულ უნდა იქნეს აპლიკანტის მიერ. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ეს ტესტი მოიხსენიება, როგორც „ძალიან მკაცრი მტკიცების სტანდარტი”. Khodorkovskiy-ს საქმეზე (იქვე, § 256), მიუთითა რა პრეცედენტულ სამართალზე, სასამართლომ განაცხადა:

„როდესაც წარდგენილია საჩივარი მე-18 მუხლის დარღვევის შესახებ, სასამართლო იყენებს ძალიან მკაცრ მტკიცების სტანდარტს; შედეგად, ძალიან ცოტა საქმეა, სადაც კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დადგინდა. საქმეში Gusinskiy v. Russia (no. 70276/01, §§ 73–78, ECHR 2004 - ... (ამონარიდები)), სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს თავისუფლება შეეზღუდა სხვა მიზნით, გარდა იმისა, რაც მოხსენიებულია მე-5 მუხლში. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დასკვნები დააფუძნა დაკავებულსა და პრესის ფედერალურ მინისტრს შორის გაფორმებულ შეთანხმებას. შეთანხმებიდან ნათელი იყო, რომ აპლიკანტის პატიმრობა გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ იგი ეიძულებინათ მედია კომპანია სახელმწიფოსთვის მიეყიდა. საქმეზე Cebotari v. Moldova (no. 35615/06, §§ 46 et seq., 2007 წლის 13 ნოემბერი) სასამართლომ მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა იმ კონტექსტში, სადაც აპლიკანტის დაკავება აშკარად უკავშირდებოდა სასამართლოსთვის წარდგენილ შუამდგომლობას. მიუხედავად ამისა, ასეთი საქმეები იშვიათია (საპირისპირო მაგალითისთვის იხ., Sisojeva and Others v. Latvia [GC], no. 60654/00, § 129, ECHR 2007-II). სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მხარს არ უჭერს მომჩივნის მითითებას, რომ, როდესაც *prima facie* არასათანადო მოტივი დადგენილია, მტკიცების ტვირთი მოპასუხე მთავრობაზე გადადის. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კონტექსტში მტკიცების ტვირთი აპლიკანტს აკისრია”.

ამრიგად, მე-18 მუხლის საქმეებზე მომჩივნისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი ძალიან მაღალია. ალბათ ვიღაც იტყვის, რომ კეთილსინდისიერების პრეზუმფცია გადაიქცა თითქმის უპირობო რწმენად, რომ ხელისუფლება კეთილსინდისიერად მოქმედებს; ეს რწმენა არ შერყეულა არც მას მერე, რაც

Khodorkovskiy-ის (ციტირებულია ზემოთ) საქმეს მოჰყვა OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia-სა (no. 14902/04, 2011 წლის 20 სექტემბერი) და Khodorkovskiy and Lebedev v. Russia-ს (nos. 11082/06 and 13772/05, § 899, 2013 წლის 25 ივლისი) საქმეები.

7. ნამდვილად, შეიძლება არსებობდეს კარგი მიზეზები, რათა შენარჩუნებულ იქნეს ზემოთ ხსენებული პრეზუმფცია. საქმეზე Khodorkovskiy and Lebedev (ციტირებულია ზემოთ, § 903), სასამართლომ აღნიშნა:

„იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გარემოებები არასათანადო მოტივებთან დაკავშირებით აპლიკანტის მტკიცების სასარგებლოდ მეტყველებს, მტკიცების ტვირთი მაინც მას ეკისრება. სასამართლო ადასტურებს საკუთარ პოზიციას Khodorkovskiy (no. 1) საქმეზე, რომ ხელისუფლების არაკეთილსინდისიერებასთან მიმართებით აპლიკანტის მტკიცებამ „დამაჯერებლად უნდა აჩვენოს“, რომ მათი ქმედებები განპირობებული იყო არასათანადო მოტივებით. ამრიგად, ამგვარ საქმეებში მტკიცების ტვირთი მაღალია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს დარღვევა უნდა დაედასტურებინა ყველა გახმაურებულ საქმეზე, სადაც აპლიკანტის სტატუსი, სიმდიდრე, რეპუტაცია და ა.შ. წარმოშობდა ეჭვს, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მთავარი მოტივი არასათანადო იყო. ასეთი სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგალითად, როგორც მოცემულია საქმეში Streletz, Kessler and Krenz [v. Germany, nos. 34044/96, 35532/97, 44801/98, ECHR 2001-II] შეუძლებელი გახდებოდა... სასამართლომ Khodorkovskiy-ს (no. 1) საქმეზე კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ „მაღალი პოლიტიკური სტატუსი პირს იმუნიტეტს არ ანიჭებს“.

8. ზემოთ ციტირებული რაციონალიზაცია პერიფრაზირებულია მეტნაკლებად აბსოლუტური წესით. თეორიულად, ეს ტოვებს რაღაც ფარგლებს იმის მტკიცებისთვის, რომ აპლიკანტის უფლებების შეზღუდვით, ხელისუფლებამ მიაღწია „სხვა მიზნებს, გარდა კონვენციით გათვალისწინებული მიზნებისა“ (იხ. Khodorkovskiy, ციტირებულია ზემოთ, § 255), თუმცა მან „დამაჯერებლად უნდა აჩვენოს“ რომ ხელისუფლება არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა. შესაბამისად, მომჩივნის საქმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად „დარწმუნდება“ სასამართლო წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

„რწმენა“ და „განსჯა“ ისეთი ცნებებია, რომლებიც მოკლებული არ არის სუბიექტურობის ელემენტს. შესაბამისად, თუ აპლიკანტი სასამართლოს მსგავსად არ არის „თვითდაჯერებული“, მაშინ სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ აპლიკანტის „პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების“ (არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად დამაჯერებელია ეს მტკიცებულება საზოგადოებისთვის) დაქვემდებარება მხოლოდ „კონტექსტუალური მტკიცებულებაა“ (თუ არსებობს საქმის მხოლოდ „ფაქტობრივი გარემოებები“, რაოდენობის მიუხედავად) და აღნიშნულის სამართლებრივი აღიარებისთვის ღონისძიებები ვერ იქნება გატარებული.

ეს განმარტავს თუ რატომ არის ასე ცოტა საქმე, სადაც სასამართლომ მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა (ქვემოთ, იხ. მე-11 პარაგრაფი). და პირიქით: მსგავსი საქმეების მცირე რაოდენობა არის პრინციპის აბსოლუტური ხასიათის დამადასტურებელი, რომლის თანახმად (თეორიულად) „შესადავებელი“ კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გაბათილება პრაქტიკაში დიდ სირთულეს წარმოადგენს.

9. ის მოსაზრება, რომ სასამართლო, იმ შემთხვევებში, როდესაც მე-18 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთი მთავრობას ეკისრება,

„დარღვევას დაადგენდა ყველა გახმაურებულ საქმეზე, სადაც აპლიკანტის სტატუსი, სიმდიდრე, რეპუტაცია და ა.შ. წარმოშობდა ეჭვს, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მთავარი მოტივი არასათანადო იყო“

არ არის შეუცდომელი. იგი უფრო მეტ კითხვას ბადებს ვიდრე პასუხებს. პირველ რიგში, მართლა ყველაზე დაადგენდა? რატომ ყველაზე? განცხადება, რომ

„ასეთი სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგალითად, როგორც მოცემულია საქმეში *Streletz, Kessler and Krenz* [v. Germany, nos. 34044/96, 35532/97, 44801/98, ECHR 2001-II] შეუძლებელი გახდებოდა...“

გადაჭარბებულია. ეს სხვა არაფერია, გარდა სასამართლოს მიერ საკუთარი უძღვრების აღიარება შეთითხნილი და ყალბი ბრალდებების, აგრეთვე, უსაფუძვლო სპეკულაციების წინაშე. მე არ მჯერა, რომ სასამართლო ასეთი უმწეო და პარალიზებულია. ნუთუ არ არსებობს რაიმე სხვა საშუალება იმისათვის, რომ დასაწყისშივე უარი ეთქვას გაყალბებულ შეთქმულების თეორიას იმის თაობაზე, რომ აპლიკანტის უფლებები ან თავისუფლებები შეიზღუდა სხვა მიზეზებით, ვიდრე ეს კონვენციაშია მოცემული, თუ მომჩივანი სასამართლოს ვერ წარუდგენს ხელისუფლების წერილობით ან ჩაწერილ აღიარებას, რომ ისინი მას სხვა მიზეზის (რაც არ უნდა იყოს იგი) გამო დევნიან ან სულ მცირე ხელისუფლების სასარგებლოდ აპლიკანტის მიერ ხელმოწერილ „შეთანხმებას“, როდესაც ეს უკანასკნელი პატიმრობაში იმყოფებოდა (როგორც, მაგალითად, საქმეში *Gusinskiy v. Russia* (no. 72076/01, ECHR 2004-IV))? ბოლოს და ბოლოს ეჭვი მხოლოდ ეჭვია; იგი თავიდანვე არ არის უარყოფილი, როგორც ყალბი ეჭვი; მას შეიძლება უარი ეთქვას მხოლოდ დასაბუთებული განხილვის შემდეგ. უბრალო უარი, გამომძიებულ იქნას ჰქონდა თუ არა ადგილი პოლიტიკურად მოტივირებულ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, არასდროს გააქარწყლებს აღნიშნულ ეჭვს, არამედ გააღრმავებს მას.

და რა შეიძლება ითქვას “ESK”-ს შესახებ („ყველა ბავშვმაც კი იცის“ ეს აბრევიატურა ნასესხებია *Richard Dawkins*-სგან)? რა მოხდება თუ „კონტექსტუალური მტკიცებულება“ იმის შესახებ, რომ აპლიკანტს ხელისუფლება პოლიტიკურად

დევნიდა დოკუმენტების დასტის მიხედვით ფასდება? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ (როგორც მოცემულია საქმეზე Khodorkovskiy and Lebedev (ციტირებულია ზემოთ; ზემოთ, იხ. მე-7 პარაგრაფი)), რა მოხდება, თუ „ფაქტები, რომლებიც არასათანადო მოტივების თაობაზე აპლიკანტის განცხადების სასარგებლოდ მეტყველებს“ იმდენად ბევრია, რომ ჭეშმარიტების მაძიებელ ნებისმიერ პირს აღარ ექნებოდა შესაძლებლობა შესაბამის კონკრეტულ მთავრობასთან მიმართებით კეთილსინდისიერების პრეზუმფციას მიმხრობოდა? შეიძლება ასეთი „კონტექსტუალური მტკიცებულება“ გადაწონოს გონივრულმა, ფორმალურმა სამართლებრივმა დათქმამ? შეუძლია და, რაც მთავარია, სასამართლომ ფორმალურად უნდა უარყოს ასეთი „კონტექსტუალური მტკიცებულებები“ ერთადერთი საფუძვლით, ნუთუ პოლიტიკური ოპონენტის დევნაში ჩართული პირები არ იყვნენ ისეთი წინდაუხედავები, რომ ხელი მოეწერათ წერილობით ჩვენებაზე და აპლიკანტისთვის გადაეცათ, შემდგომში სასამართლოში წარსადგენად?

10. აღნიშნული კითხვები არ ეხება სასამართლოს მიერ განხილულ რომელიმე საქმეს, სადაც მე-18 მუხლის დარღვევა არ დადგენილა. ეს კითხვები პრინციპს ეხება; მტკიცების სტანდარტს და წინდახედულობაზე დაფუძნებული დასაბუთების მეთოდს. ისინი შეეხება კანონსა და აშკარა რეალობას შორის კავშირს. თუ ყველაფრის მიუხედავად, პრინციპი წარმოდგება წინდახედულობისგან, ეს ხელს არ უწყობს კანონმდებლობასა და ცხოვრებას შორის არსებული შეუსაბამობების შემცირებას. მას შეუძლია ნებისმიერი მიმართულებით წავიდეს, თუმცა არსებობს აღნიშნული შეუსაბამობების გაღრმავების დიდი რისკი.

11. 2004 წლიდან დღემდე სასამართლომ მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლის ერთ ან უფრო მეტ პარაგრაფთან ერთობლიობაში, ექვს საქმეზე დაადგინა. ყველა ეს საქმე განხილულ იქნა პალატის და არა დიდი პალატის მიერ. აღნიშნული საქმეებია (ქრონოლოგიური თანმიმდევრობით): *Gusinskiy* (ციტირებულია ზემოთ); *Cebotari v. Moldova* (no. 35615/06, 2007 წლის 13 ნოემბერი); *Tymoshenko v. Ukraine* (no. 49872/11, 2013 წლის 30 აპრილი); *Lutsenko v. Ukraine* (no. 6492/11, 2012 წლის 3 ივლისი); *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (no. 15172/13, 2014 წლის 22 მაისი); და *Rasul Jafarov v. Azerbaijan* (no. 69981/14, 2016 წლის 17 მარტი).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმეზე სასამართლომ მე-18 მუხლის დარღვევა, მე-5 მუხლის ერთ ან უფრო მეტ პარაგრაფთან ერთობლიობაში, დააფუძნა მტკიცებულებას, რომელიც აშკარად არ იყო „კონტექსტუალური“. ზოგიერთი მტკიცებულების ელემენტი მოხსენიებულია *passim in quotations* სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან და მე ამ საკითხებს დეტალურად აღარ განვიხილავ.

ჩემ შემფოთებას იწვევს არა სასამართლოს მიერ დადგენილი მე-18 მუხლის დარღვევები, არამედ სავარაუდო დარღვევები, რომლებიც არ დადგინდა და არ იქნა გამოკვლეული.

12. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს ისტორიაში ბევრი საჩივარი იყო წარდგენილი, სადაც დაისვა მე-18 მუხლის დარღვევის საკითხი. თუმცა, აღნიშნული საქმეების უმრავლესობაში, მე-18 მუხლთან დაკავშირებული განაცხადები დაუშვებლად იქნა ცნობილი. როგორც უკვე შეფასდა (ზემოთ, იხ. მე-8 პარაგრაფი), კეთილსინდისიერების პრეზუმფცია იმდენად ძლიერია და ამ მტკიცების დაკმაყოფილების მოთხოვნები იმდენად ხისტია, რომ აპლიკანტებს მხოლოდ ძალიან იშვიათად და განსაკუთრებულ შემთხვევებში მიუღწევიათ წარმატებისთვის.

13. მიუხედავად ამისა, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იმ საქმეებთან მიმართებით, სადაც მომჩივნების მე-18 მუხლთან დაკავშირებული საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ოთხი მიმართულებით გაიყო. უდავოდ, შეიძლება ძალიან ბევრი განსხვავებული კრიტერიუმი და, შესაბამისად, ტიპოლოგია არსებობდეს ამ პრეცედენტული სამართლის კლასიფიკაციისთვის. ქვემოთ მოცემული არ წარმოადგენს რაიმე პრეტენზიას განსაკუთრებულად მიჩნევის თაობაზე. ის მიზნად ისახავდა მხოლოდ მოსაზრების წარმოჩენას და არაფერს სხვას.

II

14. კონვენციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე განმცხადებლის საჩივრის დაუკმაყოფილებლობის პირველი მიდგომა შემდეგში მდგომარეობს. სასამართლოს მიაჩნია, რომ არ დარღვეულა „მთავარი“ მუხლი, რომლის მიხედვითაც განმცხადებელი ჩივის. როგორც წესი, აპლიკანტები დავობენ კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების არა ერთი, არამედ რამდენიმე მუხლის ფარგლებში და, შესაბამისად, პრაქტიკაში ასეთი რეალობა დგას, მაშინ, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ არც ერთი ის მუხლი არ დარღვეულა, რომელზეც მომჩივანი დავობდა (იმ პირობით, რომ საჩივრები გარკვეულ მუხლებთან მიმართებით შესაძლოა არც ყოფილიყო შესწავლილი საერთოდ). „მთავარი“ მუხლის/მუხლების დარღვევის დაუდგენლობის საფუძვლით, სასამართლომ ძალიან მოკლე დასაბუთების შემდეგ, ასევე, დაასკვნა, რომ არ დარღვეულა მე-18 მუხლი და მკაფიოდ განაცხადა ამის შესახებ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. მოპასუხე მთავრობა იგებს ასეთ საქმეებს სრულად.

15. ამდენად, საქმეში: *Handyside v. The United Kingdom* (7 December 1976, Series A no. 24) სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10, მე-14 და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლები. სასამართლომ საქმის განხილვა შემოფარგლა მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევის არსებით მხარეზე იმ დასკვნის საფუძველზე, რომ აპლიკანტზე დაწესებული „შეზღუდვები“

„ეხებოდა იმ მიზნებს, რომელიც ლეგიტიმური იყო ... [კონვენციის მე-10 და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე]“ (§ 64).

16. ოც წელზე მეტი ხნის შემდეგ, საქმეში - *Gündem v. Turkey* (25 May 1998, *გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებული 1998-III*), სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, მე-8 მუხლი ან 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი. მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლომ თავისი არგუმენტაცია დააყრდნო იმ ფაქტს, რომ კომისიას (რომელმაც საქმე პირველად შეისწავლა)

„არ ჰქონდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები, რათა დაესკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3, მე-5, მე-8 მუხლები ან 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი“

და, რომ

„არც შეიძლება საკითხი დამდგარიყო კონვენციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, რომ შეზღუდვები გამოყენებულ იქნა არასათანადო მიზნებისათვის [აპლიკანტის მიერ სადავოდ გახდილ მოვლენებთან დაკავშირებით]“.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ

„არ დარღვეულა კონვენციის მე-3, მე-5 §1, მე-8 და მე-18 ან 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლები“ (§§ 67 და 69).

17. ამ კონტექსტში, შეიძლება აღინიშნოს საქმე: *Sisojeva and Others* [GC] (ციტირებულია ზემოთ). მოცემულ შემთხვევაში, მე-18 მუხლის დარღვევის საკითხი განმცხადებლების მიერ არ დასმულა მათ წერილობით განაცხადებებში, რომელშიც ისინი მე-8 მუხლის დარღვევის თაობაზე დავობდნენ. ეს იყო მხოლოდ საქმის ზეპირი განხილვის სტადიაზე, როცა აპლიკანტის წარმომადგენლებმა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად (რომლებიც საქმეში ჩაერთვნენ კონვენციის 36-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის საფუძველზე), სასამართლოს მიმართეს თხოვნით, საკუთარი ინიციატივით დაეყენებინათ მე-18 მუხლის გამოყენების და დარღვევის საკითხი (§128). მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელთა საჩივრის მიერ კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებული

საკითხი გადაწყვეტილი იყო და განაცხადი ამორიცხა საქმეთა ნუსხიდან. მე-18 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის დაშვების საკითხი, სასამართლომ უპასუხოდ დატოვა (და არ ახსენა იგი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში) იმიტომ, რომ სასამართლოსვე სიტყვებით,

„[სასამართლო] ვერ ხედავს რაიმე მტკიცებულებას, რომ ლატვიის ხელისუფლების ორგანოებმა ბოროტად გამოიყენეს მათი უფლებამოსილება, კერძოდ, კონვენციით გათვალისწინებული მიზნებისგან განსხვავებულად შეზღუდვის ღონისძიების გამოყენებისას... [და] ვერ ხედავს მიზეზს, განიხილოს [ეს საკითხი] საკუთარი ინიციატივით“ (§ 129).

III

18. პირველი მიდგომისგან განსხვავდება მეორე მოდელი, სადაც სასამართლომ დაადგინა ერთი ან რამდენიმე „მთავარი“ მუხლის დარღვევა, მაგრამ არა თვით მე-18 მუხლის დარღვევა, თუნდაც განმცხადებელს ემტკიცებინა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევა და მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევა არსობრივად ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ასეთ შემთხვევებში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ყოველთვის მოიცავს ისეთ პუნქტს, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-18 მუხლი.

19. წინამდებარე მიდგომა განვითარდა ორი ათეული წლის წინ და გამოყენებულ იქნა დიდი პალატის მიერ რამდენიმე საქმეში. ამდენად, საქმეში - *Akdivar and Others v. Turkey* (16 September 1996, მოხსენებები 1996-IV), სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა მე-18 მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ დაასკვნა მე-5 მუხლისა და (ადრინდელი) 25-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის (როგორც იმ დროს იყო ეს უკანასკნელი ფორმულირებული), ასევე 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა. ამის შემდეგ, საქმეში - *Menteş and Others v. Turkey* (28 November 1997, მოხსენებები 1997-VIII), სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევა, მაგრამ კვლავ არ დაუდგენია მე-18 მუხლის დარღვევა. საქმეში: *Çakıcı v. Turkey* [GC] (no. 23657/94, ECHR 1999-IV) დაირღვა კონვენციის მე-2, მე-3, მე-5 და მე-13 მუხლები, მაგრამ არ დარღვეულა მე-18 მუხლი. და ბოლოს, საქმეში - *Tahsin Acar v. Turkey* [GC] (no. 26307/95, ECHR 2004-III) სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დაირღვა მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი, ისევე როგორც „ვერ იქნა უზრუნველყოფილი კონვენციის 38-ე მუხლთან შესაბამისობა“, მაგრამ არ დარღვეულა მე-18 მუხლი.

20. ეს მიდგომა კიდევ უფრო ხშირია პალატის მიერ გადაწყვეტილ საქმეებში. ქვემოთ მოცემულია ის გადაწყვეტილებები (ქრონოლოგიური თანმიმდევრობით), რომელშიც ეს მიდგომა იქნა გამოყენებული: *Selçuk and Asker v. Turkey* (24 April 1998, მოხსენებები 1998-II) - კონვენციის მე-3, მე-8 და მე-13 მუხლების და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევები; *Kurt v. Turkey* (25 May 1998, მოხსენებები 1998 III) - კონვენციის მე-3, მე-5 და მე-13 მუხლების დარღვევები, ისევე, როგორც დასკვნა იმის თაობაზე, რომ „მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებები კონვენციის [ადრინდელი] 25-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფიდან გამომდინარე (როგორც ეს იყო ფორმულირებული იმ დროს); *Tekin v. Turkey* (9 June 1998, მოხსენებები 1998-IV) - კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევები; *Ergi v. Turkey* (28 July 1998, მოხსენებები 1998-IV) - კონვენციის მე-2 და მე-13 და (ყოფილი) 25-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის (როგორც ეს იყო ფორმულირებული იმ დროს) დარღვევები; *Şener v. Turkey* (no. 26680/95, 18 July, 2000) - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და მე-10 მუხლის დარღვევები; *Tanlı v. Turkey* (no. 26129/95, ECHR 2001-III) - კონვენციის მე-2 (როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური) და მე-13 მუხლების დარღვევები; *Tepe v. Turkey* (no. [27244/95](#), 9 May 2003) – მე-2 (პროცედურული ნაწილი) და მე-13 მუხლების დარღვევები; *Yöyler v. Turkey* (no. [26973/95](#), 24 July 2003) – მე-3, მე-8 და მე-13 მუხლებისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევები; *Tekdağ v. Turkey* (no. [27699/95](#), 15 January 2004) – მე-2 (პროცედურული ნაწილი) და მე-13 მუხლების დარღვევები, ისევე, როგორც დასკვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო „საკუთარი ვალდებულების შესრულება კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის ა) ქვეპუნქტიდან გამომდინარე“; *İpek v. Turkey* (no. [25760/94](#), ECHR 2004-II) – კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევები (მატერიალური და პროცედურული ასპექტები), კონვენციის მე-3, მე-5 და მე-13 (ეს უკანასკნელი მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებთან ერთობლიობაში) მუხლების და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევები, ისევე, როგორც დასკვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხე სახელმწიფომ „ვერ უზრუნველყო კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის ა) ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მისი ვალდებულებების შესრულება; *Altun v. Turkey* (no. [24561/94](#), 1 June 2004) – კონვენციის მე-3, მე-8 და მე-13 მუხლების და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევები; *Şirin Yılmaz v. Turkey* (no. [35875/97](#), 29 July 2004) – მე-2 მუხლის (პროცედურული ნაწილი) და მე-3 მუხლების დარღვევები; *Abdülsamet Yaman v. Turkey* (no. [32446/96](#), 2 November 2004) – მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის მე-3, მე-4, მე-5 პარაგრაფების დარღვევები და მე-13 მუხლის დარღვევა; *Dicle v. Turkey* (no. [34685/97](#), 10 November 2004) – მე-10 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი

პარაგრაფის დარღვევები; *Menteşe and Others v. Turkey* (no. [36217/97](#), 18 January 2005) – მე-2 მუხლის (პროცედურული ნაწილი) და მე-13 მუხლის დარღვევები; *Ağtaş and Others v. Turkey* (no. [33240/96](#), 2 February 2006) – მე-13 მუხლის დარღვევა; *Artun and Others v. Turkey* (no. [33239/96](#), 2 February 2006) – მე-13 მუხლის დარღვევა; *Keser and Others v. Turkey* (nos. [33238/96](#) and [32965/96](#), 2 February 2006) – მე-13 მუხლის დარღვევა; *Kumru Yılmaz and Others v. Turkey* (no. [36211/97](#), 2 February 2006) – მე-13 მუხლის დარღვევა; *Nesibe Haran v. Turkey* (no. [28299/95](#), 2 February 2006) – მე-2 მუხლის (პროცედურული ნაწილი) დარღვევა; *Öztoprak and Others v. Turkey* (no. [33247/96](#), 2 February 2006) – მე-13 მუხლის დარღვევა; *Şaylı v. Turkey* (no. [33243/96](#), 2 February 2006) – მე-13 მუხლის დარღვევა; *Aksakal v. Turkey* (no. [37850/97](#), §§43-44, 15 February 2007) – მე-13 მუხლის დარღვევა; *Khodorkovskiy* (ციტირებულია ზემოთ) – მე-3 და მე-5 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-4 პარაგრაფების დარღვევა; *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos* (ციტირებულია ზემოთ) – მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-3 პარაგრაფის ბ) ქვეპუნქტისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა; და *Khodorkovskiy and Lebedev* (ციტირებულია ზემოთ) – მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფებისა და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის გ) და დ) ქვეპუნქტებთან ერთობლიობაში) დარღვევები და მე-8 მუხლის, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევები, ისევე, როგორც დასკვნა იმის შესახებ, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს „კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე დაკისრებული ვალდებულების შესრულება“.

ყველა ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ, საქმის შეჯამებისას, არსებითად განიხილა მე-18 მუხლიდან გამომდინარე ბრალდებები ერთ ან მეტ „მთავარ“ მუხლთან მიმართებით და დაადგინა, რომ, მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელი დაირღვა, მე-18 მუხლის დარღვევა არ დამდგარა და მკაფიოდ აღნიშნა იგი გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილებში.

21. მეორე მიდგომის ფარგლებში, სასამართლომ სხვადასხვა ფორმის სიტყვათა წყობით დაასაბუთა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის არარსებობა (მაშინ, როცა იმავე გადაწყვეტილებაში, დაადგინა ერთი ან რამდენიმე „მთავარი“ მუხლის დარღვევა).

მაგალითად, ზოგიერთ (ძირითადად ადრეულ) საქმეში, სასამართლო დაკმაყოფილდა იმით, რომ კომისიას მე-18 მუხლის დარღვევა არ დაუდგენია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ არ გადაეხვია აღნიშნული დასკვნისგან (იხ.,

მაგალითად, ზემოხსენებული საქმეები: Selçuk and Asker, §102; Menteş and Others, § 98; და Çakıcı, § 117).

სხვა საქმეებში, სასამართლომ გამოიყენა ლაკონური ფორმულირება (სახეცვლილი ვარიაციებით) და დაადგინა, რომ

“[სასამართლოს] წინაშე არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, [მე-18 მუხლის] დარღვევა არ შეიძლება დადგეს“ (იხ., მაგალითად, ზემოთ აღნიშნული საქმეები: İpek, § 216 და Abdülşamet Yaman, § 91).

თუმცა, წლების განმავლობაში, სასამართლომ „ნიმუშისებრი“ ფორმულა შეიმუშავა და ხშირად იყენებს მას:

„სასამართლოს ... უკვე განხილული ჰქონდა წინამდებარე საჩივარი წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე და აღმოაჩინა, რომ იგი დაუსაბუთებელი იყო. შესაბამისად, არ დადგინდა [მე-18 მუხლის] დარღვევა“ (იხილეთ, მაგალითად, ზემოთ აღნიშნული საქმეები: Tepe, § 204; Ağtaş and Others, § 75; Kumru Yılmaz and Others, § 88 და Aksakal, § 59).

ყველა ასეთ საქმეში, სასამართლოს ძირითადი დასაბუთება მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით შემოიფარგლებოდა მხოლოდ რამდენიმე წინადადებით (ზოგჯერ ერთი წინადადებითაც).

22. თუმცა, შემდეგ საქმეებზე: Khodorkovskiy, OAO Neftyanaya Kompaniya Yukos და Khodorkovskiy and Lebedev (ყველა მათგანი ციტირებულია ზემოთ) მიღებული ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების მიხედვით, ასეთი დასაბუთება გაცილებით უფრო ფართო იყო (შესაბამისად, §§ 254-261, §§ 663-666 და §§ 897-909). ამას გარდა, Khodorkovskiy-ისა და Khodorkovskiy and Lebedev-ის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში, საკმაოდ ფრთხილი შემაჯამებელი დასკვნა გაკეთდა: სასამართლომ განსაზღვრა, რომ

„ვერ დადგინდა, რომ კონვენციის მე-18 მუხლი დაირღვა“ (შესაბამისად, §261, §909).

აღნიშნული ფაქტი შეიძლება აღქმულ იქნეს ისე, რომ დარღვევა შესაძლოა მართლა იყო, თუმცა სასამართლომ ვერ მიიჩნია იგი დადასტურებულად. ეს სიფრთხილე სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაცილებით უფრო რთული გახდა ინფორმირებული „ადამიანის პოვნა ქუჩაში“; რომ აღარაფერი ვთქვათ სერიოზულ პოლიტიკურ ანალიტიკოსზე, რომელიც სწრაფად დააჯერებდა ჩვეულებრივ დამკვირვებელს, განსაკუთრებით შემდგომ განვითარებული მოვლენების გაუთვალისწინებლად, რომ ეს ფორმალური სასამართლო დასკვნები ადეკვატურად ასახავდა „კონტექსტუალურ მტკიცებულებას“, რომელიც, როგორც

განმცხადებლების, ასევე საერთაშორისო მედიისა და ანალიტიკოსების მიერ იყო დადგენილი.

IV

23. მესამე მიდგომა, განმცხადებლის საჩივრის მე-18 მუხლიდან გამომდინარე უარყოფის შესახებ, ეხება სავარაუდო დარღვევის არსებითად განხილვაზე უარის თქმას იმ საფუძველით, რომ სასამართლომ, სხვადასხვა მიზეზის გამო გადაწყვიტა ასეთი განხილვის საჭიროების არარსებობა.

24. მსგავსი რამ მოხდა საქმეში - *Navalnyy and Yashin v. Russia* (no. 76204/11, 4 December 2014). მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის, მე-11 და მე-13 მუხლების დარღვევა, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნა, რომ „აუცილებელი“ არ იყო საჩივრის განხილვა მე-18 მუხლის ფარგლებში. წინამდებარე შუალედური გადაწყვეტა მხარეებს (და გადაწყვეტილების სხვა მკითხველს) უტოვებს საფიქრალს იმის შესახებ, დაადგენდა თუ არა სასამართლო მე-18 მუხლის დარღვევას, თუ არ გადაწყვეტდა, რომ ამ საკითხის „განხილვა არ იყო საჭირო“. სხვა სიტყვებით, მაშინ, როცა პირველი კატეგორიის საქმეები მოპასუხე მთავრობის სასარგებლოდ წყდებოდა სრულად, მათი გამარჯვება მესამე კატეგორიის საქმეებში ნაწილობრივი იყო და შესაძლოა - აუცილებლობის შემთხვევაში, სამომავლოდ, „კონტექსტუალური“ მტკიცებულება შეიძლება „შემდგომ“ საქმეში გამოყენებულიყო (მაგრამ, აღნიშნული შემთხვევა უფრო თეორიული შესაძლებლობისაა) - საბოლოო არც ყოფილიყო. თუმცა, ასეთი „ეკონომიური“ მიდგომა არ შემოიფარგლება მხოლოდ მე-18 მუხლით, არამედ გამოიყენება სხვა მუხლებთან დაკავშირებულ საჩივრებთან მიმართებით. წინამდებარე „განხილვის ეკონომიურობა“ არ არის თავისთავად მცდარი ქმედება. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე სხვა შემთხვევაში აღვნიშნე,

„ზედმეტად ლაკონური მიზეზები „დარჩენილი საჩივრების“ დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით სასამართლოს ხანგრძლივი პრაქტიკა გახდა არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი უარი აშკარა იყო, არამედ იმ საქმეებშიც, სადაც საჭირო იყო უფრო დაწვრილებითი განხილვა. მე მჯერა, რომ წინამდებარე საქმე ცალსახად ეკუთვნის ამ უკანასკნელ კატეგორიას“ (იხ., ჩემი ნაწილობრივი განსხვავებული აზრის მე-2 პარაგრაფი საქმეში: *M.C. და A.C. v. Romania*, no. 12060/12, 12 April 2016 (არ არის საბოლოო)).

25. სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში - *Navalnyy and Yashin* (ციტირებულია ზემოთ) აღნიშნული საკითხის განხილვა „არ იყო საჭირო“, რომელიც შედეგადად დასაბუთდა:

„116. სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტები უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი, დაპატიმრებულნი და მსჯავრდებულნი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და რომ აღნიშნულმა გარემოებამ ხელი შეუშალა და გული აუცრუა მათ და სხვა პირებს მონაწილეობა მიეღოთ საპროტესტო აქციებში და აქტიურად ჩართულიყვნენ პოლიტიკაში (იხ., ზემოთ, პარაგრაფები 73-74).

117. ამ დასკვნებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში არ არის საჭირო განიხილოს კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა.“

აღნიშნული დასაბუთება სიტყვა-სიტყვით განმეორდა ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში, საქმეზე - *Frumkin v. Russia* (no. 74568/12, §§ 172-173, 5 January 2016).

26. გაოცებული ვარ ასეთი დასკვნის გამო. დამწუხრებული ვარ.

სახელდობრ, თვითნებური (ე.ი. არა უბრალოდ შემთხვევითი, არამედ დისკრეციული, თვითნებური, ახირებულიც კი!) დაკავების, დაპატიმრების და მსჯავრდების (ანუ, არა იზოლირებული აქტის, არამედ სისხლის სამართალწარმოებების მთელი „ჯაჭვის“!)

„ გარემოებებმა ხელი შეუშალა და გული აუცრუა [განმცხადებლებს] და სხვა პირებს მონაწილეობა მიეღოთ საპროტესტო აქციებში და აქტიურად ჩართულიყვნენ პოლიტიკაში“ (ხაზგასმა ჩვენია)

ბრძანებები, ყველაზე საფუძვლიან სასამართლო ზედამხედველობას ექვემდებარებოდნენ იმ მოტივის განსაზღვრით, რომ აპლიკანტების და სხვა პირების გულაცრუება და ხელშეშლა პოლიტიკურ საქმიანობაში იყო არა მხოლოდ შედეგი, არამედ მიზანი აღნიშნული თვითნებური დაკავებისა, დაპატიმრებისა და მსჯავრდებისა.

დაკავება, დაპატიმრება და მსჯავრდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ქმედებებია. როდესაც ხელისუფლება თვითნებურად მოქმედებს და უფრო მეტიც, როცა ისინი ამას სჩადიან არა შემთხვევით, არამედ თანმიმდევრულად, მაშინ, საჯარო ხელისუფლების ორგანოები - გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ისეთი თანმხვედრი გარემოებები, რაც დაუჯერებელ რეალობაში შეტოპვას გულისხმობს - გამიზნულად მოქმედებენ.

და მიზანი სწორედ მე-18 მუხლიდან გამომდინარეობს!

V

27. მეოთხე და ჯერჯერობით ბოლო მიდგომა განმცხადებლის საჩივრის მე-18 მუხლის საფუძველზე უარყოფის შესახებ, ეფუძნება საქმის არსებითი მხარის დროს სავარაუდო დარღვევის განუხილველობას. აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო იმით, რომ საჩივარი *ratione materiae* შეუთავსებელი იყო კონვენციის მიზნებთან.

28. მოცემულ საქმეში: *Navalnyy and Ofitserov v. Russia* (nos. [46632/13](#) and [28671/14](#), 23 February 2016), სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა. ამ განსხვავებული აზრის წერის დროს, წინამდებარე საქმის გადაწყვეტილება ჯერ არ არის ძალაში შესული, რადგან დიდი პალატისადმი საქმის გადაცემის შესახებ მოთხოვნა იხილება.

Navalnyy and Ofitserov-ის საქმეში (ციტირებულია ზემოთ), მე-18 მუხლიდან გამომდინარე საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი *ratione materiae*, რადგან:

„[მე-6 და მე-7] მუხლის დებულებები, რამდენადაც რელევანტურია მოცემულ საქმეში, არ შეიცავს რაიმე გამოხატულ ან ნაგულისხმევ შეზღუდვებს, რომელიც შეიძლება სასამართლოს მსჯელობის საგანი იყოს კონვენციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე.“

29. საქმის არსებითი მხარის განხილვის გარეშე და საჩივრის მე-18 მუხლიდან გამომდინარე დასაშვებობის საკითხის შემოფარგვლით, ვეხები მოსამართლეთა ნიკოლაუსის, კელერის და დედოვის ნაწილობრივად განსხვავებულ ერთობლივ აზრს, რომელშიც ისინი არ ეთანხმებიან „უმრავლესობას“ - განაცხადის დაუშვებლობის შესახებ. მათი სიტყვებით,

„მოცემული საქმე პირველი იყო, სადაც სასამართლო მოწოდებული იყო გამოეყენებინა კონვენციის მე-18 მუხლის მე-6 ან მე-7 მუხლთან ერთობლიობაში არსებული დამატებითი დაცვის გარანტიები“ (იხ., პარაგრაფი 5.)

ნაწილობრივ განსახვავებული ერთობლივი აზრის ავტორების მიხედვით,

„წარსული პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო მკაფიოდ უზრუნველყოფდა მე-18 მუხლის გამოყენებას მე-5 მუხლთან, მე-8 მუხლთან და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში. თუმცა, სასამართლო ასევე უშვებდა მე-18 მუხლის - კონვენციის ამ სამი მუხლიდან რომელიმესთან ერთობლიობით, ასევე სხვა კონვენციისეულ უფლებებთან ერთად გამოეყენებას, მაგალითად, კონვენციის მე-6 მუხლთან ერთად. გარდა ამისა, მე-18 მუხლის შექმნის ისტორია მიუთითებს იმაზე, რომ მისი გამოყენება არ უნდა იქნას შემოფარგლული მხოლოდ კონვენციის იმ დებულებებით, რომელიც შეიცავს გამოკვეთილ შემზღუდველ პირობებს. ამის ნაცვლად, *ratio conventionis*-ის მიხედვით, იგი გამოიყენება კონვენციით გარანტირებული ყველა

უფლების შემზღვეველი დებულებების მიმართ, გარდა იმ აბსოლუტური უფლებებისა, რომლებიც არ უშვებენ შეზღვევებს და, შესაბამისად, რომლის მიმართაც ლოგიკურად ვერ გავრცელდება, მაგალითად, მე-3 მუხლის ფარგლებში.“ (იხ., პარაგრაფი მე-4; სქოლიოები გამოტოვებულია.)

შესაბამისად, განსხვავებული აზრის ავტორებმა დაასკვნეს, რომ:

„უმრავლესობის მიერ საჩივრის უარყოფა როგორც *ratione materiae* შეუსაბამო, პირდაპირ გავლენას ახდენს *ratio conventionis*-ზე და მე-18 მუხლიდან გამომდინარე დადგენილ ადრინდელ პრეცედენტულ სამართალზე. ამ მიზეზით, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ამ კონტექსტში უნდა განვსაზღვროთ აპლიკანტის საჩივრის არსებითი მხარე, ვფიქრობთ, რომ სასამართლოს დაშვებულად უნდა გამოეცხადებინა საჩივარი კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით.“ (იხ., პარაგრაფი მე-7.)

30. მოცემული აზრის ერთ ელემენტს არ ვეთანხმები.

პრინციპში, მე ვეთანხმები იმ განსხვავებული აზრის ავტორებს, რომ კონვენციის მე-18 მუხლის ფარგლები არ უნდა შეიზღუდოს, *inter alia*, იმ განცხადებით, რომ საჩივარი *ratione materiae* შეუთავსებელია კონვენციის და/ან მისი დამატებითი ოქმების გარკვეულ მუხლებთან. მხოლოდ დავამატებ, რომ ეს ეხება განსაკუთრებით იმ მუხლებს, რომელიც საქმის განხილვის შედეგად დარღვეულად იქნა მიჩნეული სასამართლოს მიერ (საქმეში: *Navalnyy and Ofitserov*, მუხლი 6 §1).

თუმცა, მე არ ვეთანხმები ავტორების იმ აზრს, სადაც ისინი დაუშვებლობის შესახებ განცხადებას *ratione materiae* აიგივებენ *Navalnyy and Ofitserov* საქმეში უმრავლესობის მიერ მიღებულ დასკვნასთან, რომ „არ არის აუცილებელი“ საჩივრის განხილვა მე-18 მუხლიდან გამომდინარე. კერძოდ, მათი მოსაზრებით:

„ჩვენი კოლეგებმა მიიჩნიეს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფიდან გამომდინარე მიღებული დასკვნების ფონზე, არ იყო საჭირო განმცხადებლების სხვა საჩივრების განხილვა კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლის საფუძველზე.“ (იხ., პარაგრაფი 1.)

31. დავამტკიცე (ზემოთ, იხ., პარაგრაფები 23-26), რომ დასკვნა - „არ არის საჭირო“ საჩივრის განხილვა მე-18 მუხლიდან გამომდინარე ბოლო დროს მიღებული ტექნიკაა (მესამე მიდგომა), რათა არ დაკმაყოფილდეს განმცხადებლის საჩივრები წინამდებარე მუხლის ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა განსხვავდება სხვა ორი მიდგომისგან, რომელიც გამოყენებული იყო ადრინდელ საქმეებში. იგი ასევე განსხვავდება იმ განცხადებისგან, რომ საჩივარი *ratione materiae* შეუთავსებელია კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების კონკრეტული მუხლის დებულებებთან. მოსაზრება, რომ საჩივარი *ratione materiae* შეუსაბამოა კონკრეტულ მუხლთან, ფორმალურად და არსებითად განსხვავდება იმ დასკვნისგან, რომ მისი განხილვა „არ არის

აუცილებელი“. ზემოთ აღნიშნულ საქმეში: *Navalnyy and Yashin*, გამოყენებულ მიდგომას - „განხილვა არ არის საჭირო“, ცალკე ადგილი ეთმობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. თუმცა, „ratione personae შეუთავსებლობის“ მიდგომა გამომდინარეობს სარეზოლუციო ნაწილის შესაბამისი პუნქტიდან, სადაც საჩივრის (ჩვეულებრივ შეფასებულია, როგორც განაცხად(ებ)ის „დარჩენილი ნაწილი“) შესაბამისი ნაწილი დაუშვებლად არის გამოცხადებული მაშინ, როცა მე-18 მუხლი არ არის ნახსენები. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული საქმის - *Navalnyy and Ofitserov* - გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ სასამართლო:

„ერთხმად აცხადებს, რომ საჩივრები კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლებიდან გამომდინარე დასაშვებია და უმრავლესობის მოსაზრებით, განაცხადების დარჩენილი ნაწილები დაუშვებელი“.

უფრო მეტიც, საჩივრის შეუსაბამობა კონვენციის *ratione materiae* (ან *ratione temporis*, *ratione loci*, და ა.შ.) დებულებებთან დაკავშირებით, გამორიცხავს სასამართლოს მიერ განაცხადის განხილვას მისი „არასაჭიროობის“ მიხედვით. ეს არ არის მხოლოდ „არასაჭირო“ - ეს არის „დაუშვებელი“. აღნიშნული გარემოება იურიდიულად შეუძლებელია.

32. მიუხედავად ამ ზედამხედველობისა (ან კალმის როლისა, თუ ჯერ კიდევ დასაშვებია საუბარი „კალამზე“, კომპიუტერულ ეპოქაში დაწერილ ტექსტზე), მე მთელი გულით ვეთანხმები განსხვავებულ აზრებს საქმეზე - *Navalnyy and Yashin* (ციტირებულია ზემოთ). მეოთხე მიდგომის დანერგვა - არ დაეკმაყოფილებინათ აპლიკანტების საჩივრები მე-18 მუხლიდან გამომდინარე: „მთავარ“ მუხლთან საჩივრის *ratione materiae* შეუთავსებლობის გამო - ყველაზე სამწუხაროა.

33. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ორ ახალ მიდგომას შორის.

ვფიქრობ, რომ გამოვხატე მესამე მიდგომის („არ არის საჭირო განხილვა“) უმართებულობა და მიუღებლობა - ყოველ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნულ *Navalnyy and Yashin* საქმეში მის გამოყენებასთან დაკავშირებით მაინც. თუმცა, არ შემიძლია იგივე ვთქვა მეოთხე („შეუთავსებლობა“) მიდგომასთან დაკავშირებით. ფართო პერსპექტივიდან გამომდინარე, იგი არ არის იმდენად შეზღუდული საჩივრის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების კონკრეტული მუხლების *ratione materiae* შეუთავსებლობასთან დაკავშირებით. უდავოა, რომ განაცხადები, მათ შორის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება *ratione temporis*, *ratione loci* ან *ratione personae*

შეუთავსებელი იყოს კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების მუხლებთან. მეოთხე მიდგომის უმართებულობა არის არა „შეუთავსებლობის“ ელემენტი, არამედ *“ratione materiae-ს”* იურისდქციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

ყველა შემთხვევაში, საჩივრების კონვენციის მე-18 „მთავარ“ მუხლთან *ratione temporis* და ა.შ შეუთავსებლობის ფართო მნიშვნელობა, ჯერჯერობით, თეორიული სწავლების საკითხია. იგი ჯერ კიდევ არ არის ასახული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

VI.

34. კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე, განმცხადებლების საჩივრების უარყოფის მეოთხე მიდგომა მოვიხსენიე (ზემოთ, იხ. 27-ე პარაგრაფი), როგორც „ჯერჯერობით ბოლო“ (ზემოთ, იხ., მე-13 პარაგრაფი). ახლა უნდა დავაზუსტოთ თუ რას ვგულისხმობდი.

35. წინამდებარე საქმეში, ჩვენ, პალატამ, შევექმენით მეხუთე მიდგომა - კერძოდ, მე-18 მუხლთან დაკავშირებული აპლიკანტის საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლად (იხ., გადაწყვეტილების 116-ე პარაგრაფი) და, შესაბამისად, დაუშვებლად (იხ., სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი პუნქტი) მივიჩნიეთ. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ეს არის აღნიშნული საკითხების განხილვის ახალი ტექნიკა.

36. მნიშვნელოვანია ის, რომ მე-18 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის აშკარად დაუსაბუთებლად გამოცხადება თავისთავად არ არის მცდარი. განმცხადებლები ხშირად წარადგენენ აშკარად დაუსაბუთებელ საჩივრებს სხვადასხვა მუხლის საფუძველზე, რომლებიც 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. რატომ უნდა იყოს მე-18 მუხლი გამონაკლისი? ამრიგად, მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის უარყოფასთან დაკავშირებული მეხუთე მიდგომა იურიდიულად შეუძლებელი არ არის და, შეიძლება ითქვას, რომ სულ მცირე თეორიულად „დასაბუთებულია“; უბრალოდ, იგი სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმემდე ვერ იქნებოდა გამოყენებული.

37. მოუხედავად ამისა, დღემდე, იმ საქმეებში, სადაც დადგინდა სხვა („მთავარი“) მუხლის დარღვევა (მოცემულ საქმეში ეს „სხვა“ მუხლებია მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი), სასამართლომ მსგავსი საჩივრები განიხილა ზემოთ ხსენებული მეორე მიდგომის შესაბამისად (ზემოთ, იხ., 18-22 პარაგრაფები). მოკლედ რომ ვთქვათ, „ნიმუშისებრი“ ფორმულა (მოხსენიებულია მე-19 პარაგრაფში) მოიცავს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მე-18 მუხლთან

დაკავშირებული საჩივარი „დაუსაბუთებელია“. მაშინაც კი, როდესაც სასამართლოს არ უხელმძღვანელია „ნიმუშისებრი“ ფორმულით, მან მაინც გამოიყენა იგივე ლოგიკა და მკაფიოდ განაცხადა, რომ მის წინაშე არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ვერ დაადგინდა მე-18 მუხლის დარღვევას (იქვე).

38. სასამართლომ მხოლოდ ძალიან ცოტა საქმეზე უარყო მომჩივანთა არგუმენტები მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ, მას შემდეგ რაც ჩატარდა მის წინაშე არსებული მტკიცებულებების დეტალური გამოკვლევა. აღნიშნული საქმეები იყო (რომ შევაჯამოთ) - *Khodorkovskiy, OAO Neftyanaya Kompaniya Yukos და Khodorkovskiy and Lebedev* (ყველა საქმე მითითებულია ზემოთ). ზოგიერთი შესაძლოა ეთანხმებოდეს ან არ ეთანხმებოდეს იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებულ საქმეებზე მე-18 მუხლის დარღვევა არ დადგინდა, თუმცა უდავოა, რომ სასამართლომ საკითხი მე-18 მუხლის მიხედვით განიხილა და გამოიყენა „გადაჭარბებული მტკიცების ტვირთი“, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც დადასტურდებოდა მე-18 მუხლის დარღვევა. შედეგად, სასამართლომ მე-18 მუხლის დარღვევა არ დაადგინა ან (სამი საქმიდან ორში) სულ მცირე განაცხადა, რომ იგი მე-18 მუხლის დარღვევის არსებობის შესახებ ვერ დარწმუნდა (ზემოთ, იხ., 22-ე პარაგრაფი).

39. წინამდებარე საქმეზე, სასამართლომ მტკიცებულება ფართოდ განიხილა, მიუხედავად იმისა, რომ იგი „კონტექსტუალური“ იყო (იხ. გადაწყვეტილების 113-115 პარაგრაფები). თუმცა, დასაბუთების მსგავსებისა (და ფარგლების) მიუხედავად, „საბოლოო შედეგი“ სრულიად განსხვავებული იყო: ნაცვლად იმისა, დაედგინა, რომ კონვენციის მე-18 მუხლი არ დარღვეულა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განაცხადის ეს ნაწილი „აშკარად დაუსაბუთებელი“ იყო (იხ. გადაწყვეტილების 116-ე პარაგრაფი).

40. ასეთ შედეგს შეიძლება ბუმერანგის ეფექტი ჰქონდეს. შესაძლებელია თუ არა, გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი „აშკარად დაუსაბუთებელია“, თავად იყოს დასაბუთებული? პირველ რიგში, სადავო საჩივარზე უარის „დამაჯერებლობა“, სულ მცირე გარკვეულწილად, დამოკიდებულია მხარეებისა და ფართო საზოგადოების მოსაზრებაზე იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად მოიცავს „აშკარად დაუსაბუთებელი“ საჩივრების ცნება იმ საჩივრებს, რომლებიც განმტკიცებულია ხელმისაწვდომი ფაქტობრივი გარემოებებით; სასამართლოს მტკიცების ტვირთის მიხედვით, აღნიშნული ფაქტობრივი ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ „გამოვლინებებს“. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას შეიძლება ეჭვის თვალით შეხედონ იმ პირებმა, რომლებსაც

შეეხებოდათ აღნიშნული საქმის ფაქტობრივი გარემოება, (ამ კუთხით, გამოიყენება გამონათქვამი: „ბავშვმაც კი იცის“, რომელიც Dawkins'-ს ეკუთვნის. აღნიშნულ ტერმინს თუ შეიძლება კიდევ ერთხელ და არა უკანასკნელად გამოვიყენებ) და რომელთაც საკმარისი „კონტექსტუალური მტკიცებულება“ ჰქონდათ, რათა დაეჯერათ, რომ ეს მტკიცებულება უფრო ყურადღებით შესწავლას საჭიროებდა. წინამდებარე საქმეზე ასეთი ინფორმაციის არსებობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჰიპოთეტურია; მე არ ვამტკიცებ, რომ მსგავსი „კონტექსტუალური მტკიცებულება“ არსებობდა. თუმცა, თუ არსებობდა, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით რაც გამოცხადდა „აშკარად დაუსაბუთებლად“ საოცრად განსხვავდება საერთო შეხედულების მიერ აღქმული „აშკარად დაუსაბუთებლობისგან“. თუ საქმეში არ მოიპოვებოდა მსგავსი მტკიცებულება, მაშინ ეს ასე არ არის.

მეორე რიგში, მოცემულ საქმეში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს კრიტიკას სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თვალსაზრისით, სადაც, დღემდე, მხოლოდ ორი არჩევანი არსებობს: (i) მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით წარდგენილი მტკიცებულებების (შედარებით) ფართო შესწავლა, რაც განაპირობებდა იმ დასკვნამდე მისვლას, რომ მე-18 მუხლი არ დარღვეულა; და (ii) მოკლე შესწავლა, რის შედეგადაც სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ განაცხადი „დაუსაბუთებელი“ იყო ან „სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულებების საფუძველზე“ მე-18 მუხლი არ დარღვეულა; ამრიგად, სადავო გადაწყვეტილება, სულ მცირე სამართლებრივი დოკუმენტის შედგენის თვალსაზრისით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰიბრიდულად.

41. თუმცა, ეს მეორე კრიტიკა ზედაპირული იქნებოდა. ეშმაკი სტრუქტურულ ფორმალობაში არ იმალება. იგი იმალება იმ ფაქტში, რომ, პრეცედენტული სამართლის განვითარების ამ ეტაპზე, მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილ საჩივრებთან მიმართებით, სასამართლომ კიდევ უფრო მკაცრი სტანდარტი უნდა დაიცვას. საქმეებმა - *Khodorkovskiy, OAO Neftyanaya Kompaniya Yukos და Khodorkovskiy and Lebedev* (ყველა მითითებულია ზემოთ) ცვლილები მოახდინეს. ირონია შეიძლება ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული სამი საქმიდან, რომლებსაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის შედეგზე, წინამდებარე საქმის გადაწყვეტილების შესაბამის პარაგრაფებში (113-115) ციტირებული იყო მხოლოდ *Khodorkovskiy* (მითითებულია ზემოთ). მეორე მხრივ, სწორედ აღნიშნულ საქმეში განხორციელდა საბოლოო ცვლილება - თუმცა, ამ საქმის საფუძველს წარმოადგენდა უფრო ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ზოგიერთ მათგანზე განსხვავებული შედეგი იქნა მიღებული და დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა. შედეგად, საჩივრები, რომლებიც

ათი წლის წინ ან უფრო ადრე თავდაპირველად შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო დასაშვებად, თუმცა დაუსაბუთებლად, ადრე თუ გვიან განხილული იქნებოდა, როგორც „აშკარად დაუსაბუთებელი“ (მსგავსად მოცემული საქმისა, რომელიც პირველად იქნა მიჩნეული „აშკარად დაუსაბუთებლად“ - თუმცა, თუ მსგავსი მიდგომა არ შეიცვალა, ეს საქმე არ იქნება უკანასკნელი), ვინაიდან სასამართლომ, რომელიც აღჭურვილია დასაშვებობის კიდევ უფრო მკაცრი სტანდარტებით, *a priori* იცის, რომ საჩივარს არ აქვს წარმატების პერსპექტივა თუ იგი გამყარებულია მხოლოდ „კონტექსტუალური მტკიცებულებით“ („გამოვლინებებით“) - აქედან გამომდინარე, საჩივარი შეიძლება მთავრობას არც კი გადაეცეს. უნდა ვაღიარო, რომ ეს შეეხო აპლიკანტის მე-18 მუხლთან დაკავშირებულ საჩივარს მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან ერთობლიობაში, რომელიც, განსხვავებით მე-18 მუხლის საფუძველზე მე-5 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან ერთობლიობაში წარდგენილი საჩივრისგან, მთავრობას არ გადაეცა.

იქნება თუ არა ეს პირველი საქმე, სადაც მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრების უარყოფის ახალი მიდგომა შემუშავდება? არ ვიცი. თუმცა, რადგან პრეცედენტული სამართლით დადგინდა, რომ „გამოვლინებებს“ ან „კონტექსტუალურ მტკიცებულებას“ არ აქვს ღირებულება იმ მტკიცების მხარდასაჭერად, რომ ნამდვილად დაირღვა მე-18 მუხლი, მსგავსი ცვლილება უნდა მოხდეს. ამ მხრივ, ამჟამინდელი (მეხუთე) მოდელი, განსხვავებით ზემოთ აღწერილი მესამე და მეოთხე მოდელებისგან, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ლოგიკური განვითარებაა. თუმცა, ეს არ ამართლებს იმ მიმართულებას, რომელიც განავითარა პრეცედენტულმა სამართალმა.

42. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ერთმა ასპექტმა ყურადღებიან სტუდენტს თავსატეხი უნდა გაუჩინოს. მოცემულ საქმეში სასამართლოს წინაშე საჩივარი წარდგენილი იყო 2005 წელს. საჩივრები, საქმეებზე *Khodorkovskiy, OAO Neftyanaya Kompaniya Yukos* და *Khodorkovskiy and Lebedev* (ყველა მითითებულია ზემოთ) სასამართლოში შეიტანეს 2004, 2005 და 2006 წლებში, შესაბამისად, დაახლოებით იგივე დროს. მხოლოდ შემთხვევითობას შეიძლება მიეწეროს, რომ ზემოხსენებული საქმეები აღნიშნულ შემთხვევაზე უფრო ადრე განიხილეს. რა იქნებოდა მოცემული საჩივრის განხილვის შედეგი თუ სასამართლო მას ზემოთ ხსენებული საქმეების შესწავლამდე განიხილავდა? უბრალოდ მაინტერესებს.

43. შეიძლება კითხვა დაისვას, რომ თუ წინამდებარე საჩივარი დაუსაბუთებელია (როგორც სასამართლოს მიერ არის დადგენილი) არის თუ არა იგი აშკარად დაუსაბუთებელი. რა დამატებითი მნიშვნელობა აქვს ტერმინს „აშკარად“? და რა არის ასე აშკარა საჩივრის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით, თუ სასამართლომ გადაწყვეტილების გვერდნახევარი უნდა მიუძღვნას ასეთი დაუსაბუთებლობის დადგენას, ხოლო (ხსენებული იქნება) მეორე მიდგომის საქმეებში, სასამართლოს სჭირდებოდა მხოლოდ რამდენიმე წინადადება, რათა განეცხადებინა, რომ საჩივარი დაუსაბუთებელი იყო და მე-18 მუხლის დარღვევა არ დადგენილა (ზემოთ, იხ., 21-ე პარაგრაფი)?

ეს კითხვები უფრო ფართო პრობლემას ეხება. იგი, ნაწილობრივ მაინც, მოიცავს სასამართლოს მიერ კონვენციასთან რაც შეიძლება მჭიდროდ დაკავშირებული ენის გამოყენების ძირითადი მოდელის განსაზღვრას. კონვენციის ენა (35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის (ა) ქვეპუნქტი) იყენებს ტერმინს: „აშკარად დაუსაბუთებელი“ და არა უბრალოდ „დაუსაბუთებელი“. ეს შეიძლება გარკვეულწილად განსაცვიფრებელი იყოს სასამართლოს „გარეშე პირისთვის“, როდესაც სასამართლო აცხადებს საჩივარს „აშკარად დაუსაბუთებლად“ არა ერთხმად, არამედ „უმრავლესობით“. მათ, ვისაც (ჯერ კიდევ) სჯერა, რომ სიტყვებს აქვთ მნიშვნელობა, შეუძლია დაასკვნას, რომ განაცხადი არც ისე „აშკარად“ დაუსაბუთებელი იყო, იმიტომ, რომ ზოგიერთმა მოსამართლემ არ მისცა ხმა მის უარყოფას დაუშვებლობის საფუძველზე. ფაქტობრივად, ასეთი პრაქტიკა ტრადიციით განისაზღვრება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში განვითარდა. იგი არ შეიცვლება ან უკეთესობისკენ ან თუნდაც უარესობისკენ.

44. ახლა დავუბრუნდეთ ზემოთ აღნიშნულ მე-40 პარაგრაფში მოცემულ ორ უსაფუძვლო კრიტიკას, რომელიც ეხებოდა „აშკარად დაუსაბუთებელი“-ს შესახებ დასკვნის სამართლებრივ მნიშვნელობას ან ნაკლოვანებას. ნამდვილად ყურადსაღებია შემდეგი გარემოება: კერძოდ, არა სასამართლოსთვის დამახასიათებელი ფორმალური მნიშვნელობით, არამედ იმ გაგებით, რომ საშუალოდ განათლებული ადამიანი (მას, ვისაც არ აქვს „კონტექსტუალური მტკიცებულება“-ც კი) რას მიაწერდა სიტყვებს: „აშკარად დაუსაბუთებელი“?

45. მაგალითად, ვეჭვობ, რომ ბევრი დარწმუნდება შემდეგი არგუმენტით: (იხ., გადაწყვეტილების 114-ე პარაგრაფი):

„წინამდებარე საქმეში არაფერი იყო ისეთი, რაც საშუალებას მოგვცემდა გვევარაუდა, რომ პროკურატურა ან სასამართლო ხელისუფლება ოფიციალური ან არაოფიციალური გზების

მეშვეობით ფარული მოტივებით მოქმედებდნენ განმცხადებლის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლს.“

მინდა, რომ აღნიშნული არგუმენტი გამოტოვებულ იქნას. იგი პირდაპირ უთითებს: „დანაშაულის ჩადენის დროს არ დატოვოთ თითის ანაბეჭდები“.

46. ზემოთ აღნიშნულ ტიმომენკოს საქმეზე, მოსამართლეებმა - ჯანგვიერტმა, ნუსბერგერმა და პოტოკიმ განაცხადეს მათ ერთობლივ თანმხვედრ აზრში:

„უბრალო ეჭვი, რომ ხელისუფლების ორგანოები მათ ძალაუფლებას იყენებდნენ კონვენციით გათვალისწინებულისგან განსხვავებული სხვა მიზნით, არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ მე-18 მუხლი დაირღვა. ... სასამართლო მართებულად ავრცელებს ძალიან ზუსტი მტკიცების სტანდარტს ... თუმცა, ეს მოთხოვნა არ უნდა იყოს ისეთი, რომ განმცხადებლისთვის შეუძლებელი გახდეს მე-18 მუხლის დარღვევის დამტკიცება. ...“

... მე-18 მუხლი მოიცავს სიტყვას - „მიზანი“, რომელიც უცილობლად მიუთითებს სუბიექტურ განზრახვაზე, რომელიც შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ იმ პირის ან პირების მიერ, რომელთაც ასეთი განზრახვა აქვთ, თუ იგი - შემთხვევით - არ არის დოკუმენტირებული სხვაგვარად საერთოდ, ცოდნა იმის შესახებ, თუ რას უწოდებს სასამართლო „ფარულ დღის წესრიგს“ ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციაში შედის და, ამდენად, არ არის ხელმისაწვდომი აპლიკანტისთვის. ამიტომ, აუცილებელია, რომ გაზიარებულ იქნეს მტკიცებულება ხელისუფლების არასათანადო მოტივების შესახებ, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ გარემოებებსა და საქმის კონტექსტიდან გამომდინარე მიღებულ დასკვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე-18 მუხლით გათვალისწინებული დაცვა არაეფექტური იქნება პრაქტიკაში.

... საქმის გარემოებებსა და კონტექსტზე დაყრდნობით, სასამართლომ არ უნდა იხელმძღვანელოს ორმაგი სტანდარტებით და უფრო იოლად არ უნდა დაადგინოს მე-18 მუხლის მე-5 ან მე-6 მუხლებთან ერთობლიობაში დარღვევა, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლებს კონკრეტული გამოჩენილი პოზიციები უკავიათ საზოგადოებაში. ...“ (ხაზგასმა ჩვენია)

და კიდევ:

„სასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცების ტვირთი განმცხადებელს უნდა ჰქონდეს მაშინაც კი, როცა, არასათანადო მოტივი prima facie დადგენილია ... მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ვერ დაამტკიცებს რაიმე „მართებულ განზრახვას“, შესაძლებელი არ იქნება „არასათანადო მოტივის“ დადასტურება“.

მე სრულად ვეთანხმები.

47. სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნული გარემოებები წარმოადგენს თანმხვედრ აზრს. ამასთან, თანმხვედრი აზრი (როგორც მოსამართლის ნებისმიერი განსხვავებული აზრი), ზოგადად, უმრავლესობის მიერ საქმის დასაბუთების ალტერნატივაა. უფრო მეტიც: ზემოხსენებული მოსაზრებები არ შეესაბამება არა მხოლოდ უმრავლესობის

პოზიციას მოცემულ შემთხვევაში, არამედ სასამართლოს მიერ დადგენილ ბევრად უფრო დიდი მოცულობის პრეცედენტულ სამართალს მე-18 მუხლთან მიმართებით, მათ შორის, შემდეგ საქმეებზე: Khodorkovskiy, OAO Neftyanaya Kompaniya Yukos და Khodorkovskiy and Lebedev (ყველა მათგანი ციტირებულია ზემოთ). ისევე როგორც, მოცემულ საქმეში, ჩემი თანმხვედრი აზრი ეჭვქვეშ აყენებს არა იმდენად პალატის დასაბუთებას სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებით, რომელმაც შესაბამისად გამოიწვია პალატის გადაწყვეტილება: განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე - „ამკარად დაუსაბუთებლად“ ეცნო.

48. სასამართლოს მიერ დასაშვებობის ძალიან ხისტი ტესტი მე-18 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებში გადახედვას საჭიროებს. „გადაჭარბებული მტკიცების სტანდარტი“ არ აღიარებს მხოლოდ „გამოვლინებებს“. იგი არ ასხვავებს „გამოვლინებებს“, რომლებიც მხოლოდ ვარაუდებია იმ „გამოვლინებებისგან“, რომლებიც „ESK-ს“, ანუ „ყველა ბავშვმაც კი იცის“ ტერმინს უკავშირდება.

გთხოვთ შეადაროთ კიდევ ერთი ტესტს - კერძოდ, ე.წ. იხვის ტესტს, რომელიც ამბობს: „თუ იგი დადის როგორც იხვი, ცურავს როგორც იხვი და ყიყინებს როგორც იხვი, ასეთ ფრინველს ვუწოდებთ - იხვს“.

ე.წ. იხვის ტესტი არის „გამოვლინებების“ შესახებ! ცხადია, რომ ასეთი ფრინველი არ არის ვალდებული ხელი მოაწეროს დოკუმენტს, რომ „მე ვარ იხვი“.

რიტორიკული შეკითხვა: ასეთი „იხვი“ გაივლის ჩვენი დასაშვებობის ტესტს მე-18 მუხლის შემთხვევებში?

მე მგონი, რომ არა.

ეს არის არასამართლებრივი მინიშნება იმ მიმართულებით, რომელიც მე-18 მუხლის საქმეებში დასაშვებობის ტესტის გადასინჯვას განაპირობებს, რათა კონვენციისეული სამართალი დაახლოვდეს პოლიტიკური ცხოვრების რეალობასთან.

49. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას (უნდა გავიმეორო კიდევ ერთხელ), რომ მხედველობაში არ მაქვს ეს კონკრეტული შემთხვევა. მე პრინციპზე, მეთოდზე ვმსჯელობ. ამ შემთხვევაში არ არის ამკარა, რომ განმცხადებლის უფლებების შეზღუდვა კონვენციით გათვალისწინებული მიზნისგან განსხვავებულად ხორციელდებოდა.

50. მაგრამ იქნება სხვა საქმეები, სადაც ტერმინი - „ყველა ბავშვმაც კი იცის“ ვერ გადალახავს უკიდურესად ხისტ დასაშვებობის ტესტს.

51. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატის მიერ ბოლოს (!) განხილულ Tahsin Acar-ის საქმეში (ციტირებულია ზემოთ), რომელიც მე-18 მუხლს ეხებოდა, თორმეტი წლის წინ იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი ისე შემოკლებულად, რომ დაეკმაყოფილებინა „პოლიტიკური მართლმსაჯულების“ დღევანდელი გამოწვევები.

ნამდვილად დროა საკითხის გადახედვისა.